# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 2 ნოემბერი 2005 №252 (2575) ფასი 50 თეთრი





**ბოლნისის სიონი ბრიტანულია**

რა შედეგს მოიტანს ტენდერის შედეგი?

2




**ნბაბომბვა დაიწყო**

ქართველები, მგლები, ქორები და სხვა

13



**ზედგინიძის რეცეპტი: ნაკლები შეცდომა და მეტი ჟინი**

15

# ლიონ ქილერი

## კალაძემ იომაგრამ...




AFP

# გუშინ ოლსონმა არსენას ძეგლს ჩაუარა და...

## მდიდარმა კლუბებმა ცოტა ღარიბებსაც მისცენ



# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006
## ჯგუფური ეტაპი, IV ტური. წუხელ

# ლიონდაგი დაგებულია

### E ჯგუფი

**პსვ 1:0 მილანი**

1:0 ფარფანი (11)
პსვ: გომესი, სიმონსი, ალექსი, ბოიერი, ლემეი, აფელაი (რაიციგერი 58), აისატი, კოკუ, ბისლი, ჰესელინკი, ფარფანი (ადო 85)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
მილანი: დიდა, სტამი, ნესტა, მალდინი, კალაძე (სერჟინიო 46), ზეედორფი, პირლო, კაკა, გატუზო (იანკულოსკი 46), ვიერი, ჯილარდინო (შევჩენკო 73)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: გატუზო, სტამი, სტამი
გაძევება: სტამი (84)
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

**შალკე 2:0 ფენერბაჰჩე**

1:0 კურანი (32), 2:0 სანდი (90)
შალკე: როსტი, ბორდონი, რაფინია, როდრიგესი, კრსტაიჩი, ჰამიტ ალტინტოპი (სანდი 64), ერნსტი (ვარელა 82), პოულსენი, ლინკოლნი, ქობიაშვილი, კურანი (ბაირამოვიჩი 90)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ფენერბაჰჩე: დემირელი, ბალჩი, ლუსიანო, ტურაჩი, უმითი, აპია, საჰინი, ნობრე (იოზგათლი 46), მ. აურელიო, თუნჯაი, ანელკა
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: ოზატი, თუნჯაი, მ. აურელიო, რაფინია, მ. აურელიო
გაძევება: ლუსიანო (40), მ. აურელიო (56)
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 4 | 2 | 1 | 1 | 2:3 | 7 |
| მილანი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| შალკე | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 |
| ფენერბაჰჩე | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |

### G ჯგუფი

**ბეტისი 1:0 ჩელსი**

1:0 დანი (28)
ბეტისი: კონტრერასი, ვარელა, ნანო (კასტელინი 20), ხუანიტო, მელი, რივერა, ხოაკინი, არსუ, ედუ, კაპი (ფერნანდო 84), ოლივეირა (დანი 25)
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ჩელსი: ჩეხი, კარვალიუ, ფერეირა, ტერი, გალასი, მაკელელე, ესიენი, ლამპარდი, რობენი (დაფი 65), ჯო კოული (შ. რაიტ-ფილიპსი 46), გუდიონსენი (დროგბა 46)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ჯო კოული, კაპი, ვარელა, რობენი, მელი, დროგბა, კონტრერასი, შ. რაიტ-ფილიპსი, დანი, დაფი
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

**ლივერპული 3:0 ანდერლეხტი**

1:0 მორიენტესი (34), 2:0 ლუის გარსია (61), 3:0 სისე (89)
ლივერპული: რეინა, ფინანი, ჰიპია, კარაგერი, რიისე, ალონსო, სისოკო, ჯერარდი (კიუელი 79), ლუის გარსია, კრუჩი (სისე 72), მორიენტესი (ზენდენი 52)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ანდერლეხტი: პროტო, ჟუაში, ძველაკოვი, ტიინენი, ვილჰელმსონი, ვანდერეიდე (მუიოლი 70), ზეტერბერგი, დემანი, გოორი, სერჰატი (ისტეროვიჩი 70), მ. მპენზა (ბასეჯო 82)
მწვრთნელი: იან კულემანსი
გაფრთხილება: სისოკო
გაძევება: ისტეროვიჩი (75)
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:1 | 7 |
| ბეტისი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | 6 |
| ანდერლეხტი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:6 | 0 |

### F ჯგუფი

**რუსენბორგი 0:2 რეალი**

0:1 დორსინი (21 ს.კ.), 0:2 გუტი (41)
რუსენბორგი: იონსენი, ბასმა, კვარმე, რისეტი, დორსინი (სტენსაასი 74), ბრაატენი, სტრანდი (ოდეგაარდი 82), სკილბრედი, სოლი, სტორფლორი (ჰელსტადი 66), ფ. იონსენი
მწვრთნელი: პერ-მატიას ჰიოგმე
რეალი: კასილიასი, ვუდგეიტი, სალგადო (მეხია 46), პავონი, რ. კარლოსი, დიოგო, ბექჰემი (დე ლა რედი 90), ს. რამოსი, გუტი (ბრავო 84), რობინიო, რაული
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო
გაფრთხილება: გუტი, დიოგო, ბრავო, რ. კარლოსი
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**ოლიმპიაკოსი 1:4 ლიონი**

1:0 ბაბანგიდა (3), 1:1 ჟუნინიო (41), 1:2 კარეუ (44), 1:3 დიარა (55), 1:4 კარეუ (57)
ოლიმპიაკოსი: გიანუ, პანტოსი, კოსტულასი (სტოლტიდისი 65), ანატოლაკისი, გეორგატოსი, კაფესი, ტური, ბაბანგიდა, ოკასი (დაკოლი 81), რივალდო, ჯორჯევიჩი (ბულუტი 65)
მწვრთნელი: ტრონდ სოლიდი
ლიონი: კუპე, რევეილერი, კრისი, აბიდალი, კასაპა, ტიაგუ (კლემენტი 74), დიარა, ჟუნინიო (ბ. პედრეტი 78), მალუდა (ვილტორდი 67), გოვუ, კარეუ
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: კუპე, კოსტულასი, ტიაგუ, ანატოლაკისი
მსაჯი: პიტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| რეალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| რუსენბორგი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:11 | 0 |

### H ჯგუფი

**ინტერი 2:1 პორტუ**

0:1 ალმეიდა (16), 1:1, 2:1 კრუზი (75პ, 82)
ინტერი: სეზარი, მატერაცი, ბურდისო, სამუელი (მიხაილოვიჩი 66), ფავალი, ვერონი, პიზარო, ფიგუ, ვიეირა (კამბიასო 54), ადრიანო (კრუზი 61), მარტინსი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
პორტუ: ბაია, ბოსინგვა, პეპე, ემანუელი, ჩეხი, კვარესმა, გონსალესი, ასუნსაო (ალვეში 62), ჟორჟინიო, ალანი (მეირლესი 46), ალმეიდა (მაკარტი 76)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: ბოსინგვა
მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**არტმედია 2:2 რეინჯერსი**

0:1 პრსო (3), 1:1 ბორბელი (7), 1:2 ტომპსონი (44), 2:2 კოზაკი (59)
არტმედია: ჩობეი, პეტრასი, დებნარი, დურიცა, ურბანეკი, ვაშჩაკი (ტჩური 83), კოზაკი, ბორბელი, ფოდრეკი, ობზერა (სტანო 87), ჰარტინგი (ჰალენარი 73)
მწვრთნელი: ვლადიმირ ვეისი
რეინჯერსი: ვატერეუსი, კირიაკოსი, ჰატონი, როდრიგესი, ბერნარდი (მიურეი 90), რიკსენი, ფერგიუსონი, ჰემდანი, ლოვენკრანდსი, ტომპსონი (ჯეფერსი 70), პრსო
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: კირიაკოსი, ფერგიუსონი, ფოდრეკი
მსაჯი: ფლორიან მეიერი (გერმანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:3 | 9 |
| რეინჯერსი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| არტმედია | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| პორტუ | 4 | 1 | 0 | 3 | 7:8 | 3 |

ასე და ამგვარად, ფრანგულმა „ლიონმა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე პლეი ოფში დაიჯავშნა ადგილი. საამისოდ ლიონელებს პირეოსის „ოლიმპიაკოსთან“ შეხვედრაში ჯერ 0:1 ჩამორჩენის გაბათილება მოუხდათ, შემდეგ კი კიდევ სამი გოლის გატანა. ახლა ფრანგებს მადრიდში მოუწევთ „რეალთან“ თამაში და F ჯგუფში პირველი ადგილის ბედიც იქ გადაწყდება.

G ჯგუფში პირველი მარცხი იწვნია „ჩელსიმ“, რომელსაც სევილიაში „ბეტისმა“ 1:0 აგემა.

H ჯგუფში „ინტერმა“ კვლავ მაყურებლის გარეშე ითამაშა „სან სიროზე“, სადაც „პორტუს“ უმასპინძლა და 2:1 აჯობა. მილანელთა ორივე გოლი არგენტინელმა ხულიო რიკარდო კრუზმა შეაგდო.

E ჯგუფში პსვ-მ 1:0 მოუგო „მილანს“ და შემდეგ ეტაპზე გასვლის შესანიშნავი შანსი იგდო ხელთ. ამავე ჯგუფში „შალკემ“ 2:0 სძლია „ფენერბაჰჩეს“.



მერვედფინალში ჯერჯერობით მხოლოდ „ლიონია“

## ინგლისი

**ჩემპიონატი. XVII ტური**

ბრაიტონი 1:1 ვულვზი
ბარნსლი 2:1 მილუოლი
ძრიუ 1:0 ლიდსი
ნორვიჩი 1:0 კარდიფი
პლიმუთი — ლესტერი გადაიდო
პრესტონი 3:0 ჰალი
შეფილდი 4:0 ლუტონი
უოტფორდი 3:1 ძარ
რედინგი 2:0 შეფილდი

**I ლიგა. გადადებული მატჩი**

ჰარტლპული 3:1 ჯილინგემი

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. XI ტური**

დინამო დრ 1:4 აუე

## ჩეხეთი

**თასი. პირველი ეტაპი**

სლოვაცკო 2:0 ტეპლიცე






# ბოლნისის სიონი ბრიტანულია
## ქასრაშვილი დარჩა, პანიკა წავიდა

„ბოლნისის „სიონის“ საქმე ნაღდად უკეთესობისკენ წავა. ახლა ამოვისუნთქებთ“ — გვითხრა გუშინ კლუბის დირექტორმა გია აბაზაძემ. საქმე ისაა, რომ გუშინ სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდა: ბრიტანული კომპანია „სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენი“

გეცოდინებათ, „მადნეულის“ აწ უკვე ძველი ხელმძღვანელობა „სიონის“ მიმართ ვალდებულებებს თითქმის არ ასრულებდა და დავალიანებები დაუგროვდა. არადა, ხელშეკრულებაში შავით თეთრზე ეწერა, რომ „მადნეულმა“ ბოლნისის „სიონის“ გამგეობასთან ერთად უნდა დააფინანსოს „სიონი“. რაც შეეხება დავალიანებას, მარტო ამ სეზონში „მადნეულს“ 245 ათასი დოლარი აქვს გადასახდელი ბოლნისური კლუბისთვის.

„ბრიტანულმა კომპანიამ წინასწარ თქვა, „მადნეულის“ ყიდვისთანავე ყველა არსებულ პუნქტს შევასრულებთო. ასე რომ, „სიონს“ მზრუნველობას არ მოაკლებენ. ამის მჯერა. კომპანიის ხელმძღვანელებთან ჯერ არ გვისაუბრია, ორშაბათ-სამშაბათს იქნება პარტნიორთა კრება და დეტალებიც გაირკვევა“ — გვითხრა გია აბაზაძემ.

რაც შეეხება წმინდა საფეხბურთო ამბებს, როგორც იცით, „ვიტ ჯორჯიასთან“ ბოლო წუთზე წაგებულმა მატჩმა ბოლნისის რაიონის გამგებელი გია არევაძე ააშფოთა, ჩვენმა მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა უხეირო შეცვლები გააკეთა და ამიტომაც წავაგეთო.

ქასრაშვილის მოხსნაზეც ალაპარაკდნენ, მაგრამ ივი გუნდში რჩება — გუშინ „სიონის“ ხელმძღვანელებმა და მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ითათბირეს და ქასრაშვილს უღიარებია, შეცდომები დავუშვი, რაც მწვრთნელი ვარ, ამგვარი რამ არასოდეს მომსვლიაო.

ესეც გია აბაზაძემ გვითხრა და დასძინა, „ვიტ ჯორჯიას“ ჟურნალფერში ვაჯობეთ, მოგებული თამაშის წაგება ჯერაც ვერ ამოგვიგდია თავიდან, მაგრამ გუნდს საპანიკო არაფერი სჭირსო...

შეგახსენებთ, მომდევნო ტურში „სიონს“ კიდევ ერთი უპრინციპული თამაში ელის — შინ „ბორჯომთან“.

**ილია ნანობაშვილი**

# ცვლილებები პროფლიგისგან

**ეროვნული** ჩემპიონატის მეთორმეტე ტური შაბათს ჩატარდება. კალენდრის მიხედვით, სამი მატჩი კვირას უნდა გამართულიყო, მაგრამ ვინაიდან საქართველოს ეროვნულ გუნდს 12 და 16 ნოემბერს ორი ამხანაგური მატჩი ელის ბულგარეთთან და იორდანიასთან, პროფლიგამ კვირის თამაშებიც შაბათისთვის გადაიტანა — ნაკრები 9 ნოემბერს იწყებს მზადებას და ხელი არ შეეშალოსო.

გუშინვე ისიც გაირკვა, რომ დავით ყიფიანის სახელობის თასის მერვედფინალები 8 ნოემბერს ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ დებულების მიხედვით, ნოემბერში თამაშები დღის 2 საათზე დაიწყება.

**ლუკა თალაკვაძე**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# უეფას ფედერაციისკენ: გაახალგაზრდავდით

ჯერ ოლსონის მონოლოგი: როცა ჩვენ საკლუბო ან სანაკრებო ტურნირების ფორმატებს ვცვლით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტი ფულის ამოღება გვინდა — მხოლოდ სპორტულ პრინციპებს ვითვალისწინებთ.

...უეფა დემოკრატიის ერთგულია. თითოეულ წევრ ქვეყანას თითო ხმის უფლება აქვს და სულერთია, ეს ხმა საფრანგეთისაა თუ საქართველოსი. სპორტულ პრინციპებს რაც შეეხება, უეფა თვლის, რომ საკლუბო ტურნირებზე სწორედ ეროვნული ჩემპიონატებიდან უნდა ხვდებოდნენ გუნდები — ანუ უნდა იყოს ალმასვლაც და დალმასვლაც. ვინც მოიპოვებს ამ ადგილს, ის უნდა გადიოდეს ევროტურნირებზე და არა ისე, რომ ადგილი ჰქონდეს დაჯავშნული. უეფაში გაწევრიანებულია 22 მილიონამდე ფეხბურთელი, 350 ათასი მსაჯი...

... ჩვენ არა მარტო საფეხბურთო, საზოგადოებრივ ინტერესსაც ვიცავთ. საფეხბურთო ოჯახის შენარჩუნება კი თანდათან ძნელი ხდება.

ლარს-კრისტერ ოლსონმა ერთ დროს საკმაოდ აჟიტირებულ G14-ის პროექტზე მიანიშნა: „ელიტარულ კლუბებს უეფადან გასვლა სურთ, რაც ძალიან ცუდია ფეხბურთის გლობალიზაციისთვისო. ბატონმა ოლსონმა NHL-ის მაგალითი მოიყვანა, იქაური კლუბები თავს იკავებენ ჰოკეისტების ეროვნული ნაკრებში გაშვებაზე, იგივე საშიშროება ფეხბურთშიც არის და ეს არანაირად არ უნდა დავუშვათ. ჩვენი ეგიდით ჩატარებული ტურნირები მაღალ დონეზე უნდა იდგეს და საშიშროებაც აღარ იქნება“ — დაამატა ოლსონმა.

ბატონმა ლარს-კრისტერმა თქვა, უეფაში სოლიდარობა პირველ ადგილზეა, მდიდარმა კლუბმა ღარიბს უნდა მისცეს წინსვლის საშუალებაო. მაგალითად, ჩემპიონთა ლიგიდან შემოსულ თანხას უეფა 650 კლუბზე ანაწილებს...

რაც შეეხება პროგრამა „ჰეთ თრიქს“, საქართველო ოთხ პროექტშია ჩართული და ფულადი დახმარება ასეთია: **მწვრთნელთა განათლება — 124 ათასი შვეიცარიული ფრანკი; სამსაჯო კურსები — 93 800; ცხრა რეგიონული ფედერაციის ოფისის აშენება — 980000; ნაკრები გუნდების ტექნიკურ-სავარჯიშო ცენტრის აშენება — 500000.**

**„პირველად ვარ საქართველოში და ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას დიდ პატივს ვცემ, აქაურ საქმეებზე კარგად ვართ ინფორმირებულნი“ — ეს იყო უეფას დირექტორ-განმკარგულებლის ლარს-კრისტერ ოლსონის სეფესიტყვა, რომელიც მან ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე წარმოთქვა. ოლსონი გუშინწინ ჩამოვიდა და ორი დღე დარჩება საქართველოში. გუშინ მან უეფას უახლოესი ათწლეულის გეგმის პრეზენტაციაც მოაწყო. ოლსონთან ერთად უეფას პროგრამა „ჰეთ თრიქის“ მენეჯერი ბრუნო ვოლფისბერგიც გვესტუმრა, თუმცა გუშინ მასმედიასთან მხოლოდ ოლსონმა ისაუბრა, პრესკონფერენციას კი ნოდარ ახალკაცი და გაიოზ დარსაძეც ესწრებოდნენ...**



ოლსონმა დასძინა, ამ ოთხი პროექტიდან სფფ-ს ნებისმიერი შეუძლია, პრიორიტეტად აქციოსო.

უეფას გეგმის პრეზენტაციის შემდეგ ლარს-კრისტერ ოლსონმა ჟურნალისტთა კითხვებსაც უპასუხა:

**— რა ინფორმაცია აქვს უეფას ზოგადად ქართულ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებზე?**

— საკმაოდ ვრცელი. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს სფფ-სთან. ბრუნო ვოლფისბერგიც თითქმის ყოველდღიურად იღებს აქედან ინფორმაციებს.

**— პროგრამა „ჰეთ თრიქით“ გამოყოფილი თანხა რა ვადებში გაიცემა და რამდენ ხანში უნდა დაიხარჯოს?**

— თანხა გაიცემა ოთხი წლის ვადით. ჯერ 2004-დან 2008 წლამდე, შემდეგ კი 2008-დან 2012-მდე და აი, რატომ: ევროპის ჩემპიონატებიდან ჯერ უეფას უნდა შემოუვიდეს ფული, რათა იგი გადავანაწილოთ. თუ მოხდა და, დაგეგმილზე მეტი თანხა შემოვიდა, მაშინ დამატებით სპეცპროექტებზე ვანაწილებთ. ანუ ევროპის ჩემპიონატია განმსაზღვრელი — წინასწარ ხომ არ ვიცით, რა თანხა შემოვა იქიდან...

**— როგორი სახელი აქვს სფფ-ს უეფაში და ხომ არაა საშიშროება, რომ საქართველოს „ჰეთ თრიქის“ დახმარების პროგრამა შეუწყვიტოთ?**

— უეფას არანაირი ხელჩასაჭიდი არა აქვს საიმისოდ, საქართველოს დახმარება შეუწყვიტოს. ვიცით, რომ თქვენთან უპირველესად საფეხბურთო ინფრასტრუქტურაა მოსაწესრიგებელი. სფფ-ის დღევანდელ ხელმძღვანელობას სრულად ვემხრობით იმაში, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებენ აქცენტს — ეს ბევრ ძლიერ ქვეყანაშია აპრობირებული.

**— ბოლო დროს გახშირდა ჩაწყობილი თამაშები. უეფა როგორ ებრძვის ამას?**

— უაღრესად პრობლემატური საკითხია. ჩვენ ტოტალიზატორებთან მუდმივად ვცვლით ინფორმაციებს და, როგორც კი იქ საეჭვო ფსონი შევა, წამსვე ვიწყებთ გამოძიებას. თუ საქმე სერიოზულადაა, მაშინ სისხლის სამართლის მოკვლევა დაიწყება.

**— „ბოსმანის წესმა“ კლუბების ცხოვრება შეცვალა. დღეს ბევრ იტალიურ, ესპანურ და ინგლისურ გუნდში თითო-ოროლა ადგილობრივი ფეხბურთელი თამაშობს. უეფას თუ აქვს პროექტი, რომ „ბოსმანის წესს“ რამე დაუპირისპიროს?**

— ცხადია, „ბოსმანის წესმა“ უეფაზე და მთლიანად ფეხბურთზე ცუდად იმოქმედა — პატარა ქვეყნების კლუბები დაზარალდნენ. ახლა უკვე ანაზღაურების გარეშე შეუძლია ფეხბურთელს კლუბიდან კლუბში გადასვლა, მაგრამ მეორე მხრივ, ესაა ევროპული სამართალი და გვინდა-არგვინდა, მას უნდა დავემორჩილოთ. გამოსავალი არსებობს და ისეთი კონცეფცია შევიმუშავეთ, რომ ადგილობრივი ახალგაზრდა ფეხბურთელების გაზრდა დავავალოთ კლუბებს. სამი წლის შემდეგ საკლუბო ტურნირებზე ყველა გუნდში 25 კაციდან 8 მოთამაშე თავისი სკოლის აღზრდილი უნდა იყოს — ესაა ჩვენი პროექტი, რომელიც მალე მოთხოვნა გახდება.

პრესკონფერენციის დასრულებისთანავე ლარს-კრისტერ ოლსონი და ბრუნო ვოლფისბერგი სფფ-ის ხელმძღვანელებთან ერთად მცხეთაში გაემგზავრნენ, სადაც პროგრამის „ოუფენ ფან ფუტბოლის“ ეგიდით მინი-სტადიონი გაიხსნა, მერე კი ბიზნესმენ ელგუჯა ბურდულიშვილს ესტუმრნენ ქართულ სუფრაზე.

**ილია ნანობაშვილი**

**გურამ დოლენჯაშვილის**
*ფოტოები*



ბრუნო ვოლფისბერგი, ლარს-კრისტერ ოლსონი და ნოდარ ახალკაცი მცხეთაში მოწყობილ მინი-მოედნის გახსნასაც დაესწრნენ





# სამკუთხედი ბლაგვდება

## რატომ არ უსვამთ კითხვებს გაიოზ დარსაძეს?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ნოდარ ახალკაცის არჩევის შემდეგ თითქმის ხუთი თვე გავიდა. თუ რა ხდებოდა ამ ხუთი თვის განმავლობაში, ამაზე ხშირად იწერებოდა ჩვენს სპორტულ პრესაში, მაგრამ ამ ბოლო დროს ახალკაცის პოლიტიკაში და საქმიანობაში, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ახალკაცი გამორჩევით ორ პიროვნებას ენდობოდა — „ზესტაფონის“ პრეზიდენტ ილია კოკაიას და ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად მის მიერვე დანიშნულ გაიოზ დარსაძეს. ქართულ ფეხბურთში მოსაქმიანე თითქმის ყველა ადამიანი დაგიდასტურებდათ, რომ ქართული ფეხბურთის სვე-ბედს სწორედ ეს სამი პიროვნება წყვეტდა, ყველა საკითხს და საქმეს ეს სამეული განაგებდა....


ბადრი ქათამაძის ფოტო

მაგრამ ბოლო დროის ვითარება შეიცვალა — ახალკაცი თავის გუნდს აფართოებს, ცდილობს, იყოს ფლექსიბელური და ეს არცთუ ურიგოდ გამოსდის. ამის დასტურია ისიც, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, როგორც იქნა, ყველა ის ფეხბურთელი გამოიძახეს, რომლებიც ამ მომენტისთვის საუკეთესონი არიან; ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გახდა პროფლიგის ხელმძღვანელი დიმიტრი რამიშვილი, ვინც ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებამდე ახალკაცის გუნდში არანაირად არ მოიაზრებოდა; წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ვიცე-პრეზიდენტობა ერგო რევაზ არველაძესაც, ვინც აქტიურად ჩაერთო ფედერაციის საქმიანობაში.

სიტუაცია შეიცვალა „ზესტაფონშიც“ — კოკაიასა და დარსაძეს შორის ურთიერთობა გაცივდა და ამ ეტაპზე დარსაძე ზესტაფონელთა ერთადერთ კონსულტანტად და მთავარ მრჩევლად აღარ ითვლება — ასეთია არცთუ კულუარული ამბავი — ახალკაცი-კოკაია-დარსაძის სამკუთხედი უწინდელივით მახვილი აღარ არის.

ახალკაცის საქმიანობა უფრო კოლეგიალური გახდა და აშკარაა, რომ ის ყველაფერს აღარ უჯერებს დარსაძეს. ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა გუნდში ჯერ მკვეთრად თვითნებური პოლიტიკა გაატარა: არ უხმო კარგ ფორმაში მყოფ შოთა არველაძეს, ყურადღებას არ აქცევდა რუსეთში კარგად მოთამაშე გიორგი ქინქლაძეს, კონფლიქტი მოუვიდა ალექსანდრე იაშვილთან, ნაკრებში იწვევდა ისეთ ზესტაფონელებს, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშითაც რომ არ გამოირჩევიან, იწვევდა და იწვევს 17 წლის ფეხბურთელებს, ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები დარსაძის ხელში დაიყო ორ ნაწილად — ჩემები და სხვები...

ყველაფერ ამას სათანადო გამოხმაურება მოჰყვა პრესაში. ახალკაცმაც ალღო აუღო სიტუაციას და დიპლომატიას მიმართა — ჯერ იაშვილი შემოირიგა, მერე არველაძე, ნაკრებში ბრუნდებიან ქინქლაძე და ლაშა ჯაკობია.

ახალკაცმა [illegible] სხვა ფრონტზეც — ეროვნული გუნდისთვის ძლიერი სპარინგ-პარტნიორი გამოიძებნა — ბულგარეთის ნაკრები.

ბოლო პრესკონფერენციაზე დარსაძემ გამოგვიცხადა, ახლა ეროვნულ ნაკრებს უკვე ორი პრიორიტეტი აქვს — შედეგი და განვითარებაო. „განვითარებაში“ დარსაძე ეროვნულ ნაკრებში ახალგაზრდა ფეხბურთელების ადაპტაციას გულისხმობს, მაგრამ კარგი იქნება, თუ ახალკაცი ჰკითხავს დარსაძეს: დამისახელე ერთი ეროვნული ნაკრები მაინც, სადაც სამი ჩვიდმეტი წლის ფეხბურთელია გამოძახებული?

ვერ გეტყვით, რა ხდება გვატემალაში და ტოგოში, მაგრამ იმ ნაკრებებში, რომლებზეც ინფორმაციულად ხელი მიგვიწვდება, ასეთი რამ არ ხდება. 17 წლის ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ მაშინ იძახებენ, თუ ის ვუნდერკინდია, ასეთი ვუნდერკინდები კი საქართველოში ჯერ არ გვყავს. ამ ყველაფრიდან ჩნდება ეჭვი, რომ დარსაძე 17 წლის ფეხბურთელებს ნაკრებში კორპორაციული მიზნებისთვის იძახებს.

ბოლოს და ბოლოს, ყველამ კარგად ვიცით, რომ ეროვნული ნაკრები საექსპერიმენტო ზაზუნა არაა, გუნდის გაახალგაზრდავებაზე მუშაობენ კლუბები, იშვიათ შემთხვევაში ასაკობრივი ნაკრებები, ხოლო პირველი ნაკრები საუკეთესოთა კრებულია.

კარგი იქნება, თუ ახალკაცი დარსაძეს ერთსაც ჰკითხავს — ჯერარს კონვენციის რომელიმე ქვეყნის მიერ გაცემული მწვრთნელის რომელიმე კატეგორიის დიპლომი თუ გაქვს?

ქართულ ფეხბურთში კვლავ ორომტრიალია და ეს კარგია, რადგან, ზოგადად, ორომტრიალი ადამიანს აკაჟებს — კარგი იქნება, თუ ასე დაემართება ახალკაცსაც.

მაგრამ დარსაძე?

„გაიოზ დარსაძეს ზეზვას და მზიას იმედი აქვს“ — ასე დავასათაურეთ წერილი მისი ბოლო პრესკონფერენციის თაობაზე, რადგან ბატონმა გაიოზმა ბრძანა, პირველი ევროპელი საქართველოდან მოდის, ქართული გენი ყველაზე მაღლა დგას და...

იმედია, დარსაძე ქართული ფეხბურთის სამსახურში დარჩება და საგნებს და მოვლენებს უფრო რეალისტურად შეხედავს.

**დავით თამართქილაძე**

---

# თქვენი ინტერვიუ

# ნოდარ ახალკაცთან

*რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი იქნება.*

*კითხვები 8 ნოემბრამდე მოგვაწოდეთ და პრეზიდენტთან თქვენს ინტერვიუს არაუგვიანეს 11 ნოემბრამდე გამოვაქვეყნებთ. ერთი სიტყვით, იაქტიურეთ.*



**მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
ყაზბეგი გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

11 ტური მიმოხილვა

# თამაში ყანაში

## ქურდობა ცხინვალში, ხარხარი ზესტაფონში, სისწრაფე თბილისში, აღარაფერი თელავში

**შეგვიძლია**, თამამად ვთქვათ: „ვიტ ჯორჯია" ასეთი ძლიერი თავის საჩემპიონო სეზონშიც არ ყოფილა. ზედიზედ ცხრა ტურია, ვიტელები ქვას ქვაზე არ ტოვებენ და ყველა შემხვედრს ამარცხებენ. ასე იყო ამჯერადაც — ბოლნისის „სიონთან" უმძიმეს ჯახში ნესტორ მუმლაძის ბიჭებმა 2:1 იმარჯვეს, არადა, აგებდნენ.

ამ წაგებამ კი „სიონის" თავკაც ხვიჩა ქასრაშვილს სკამი შეურყია. ერთი მარცხის გამო, აბა, მწვრთნელი ვის მოუხსნია, თუმცა ფაქტია, რომ გუნდის ხელმძღვანელობას ქასრაშვილის მიმართ პრეტენზიები დაჰგროვებია.

მოკლედ, პირველ-მეორე ადგილებზე „ვიტ ჯორჯია" და „სიონი" არიან. მათ კი ერთბაშად ოთხი გუნდი მისდევს — „ბორჯომი", „ლოკომოტივი", „დინამო" და „ამერი". ამ ოთხეულიდან სამმა მოიგო, მხოლოდ „ლოკომოტივს" დაუცდა ფეხი, სხვათა შორის, ამ სეზონში პირველად. თუმც იმას ვერ ვიტყვით, „დინამომ" რკინიგზელები მაგრად დაჩაგრაო. თანაბარ თამაშში კახა ცხადაძის გუნდმა 1:0 იძალა, ოღონდ ეგაა, სამი ქულა სანდრო იაშვილის ტრავმად დაუჯდა — იაშვილმა კუნთი გაიწყვიტა და წლეულს ველარ ითამაშებს.

„ბორჯომმა" და „ამერმა" კი დიდი ანგარიშით მოიგეს — სოსო ფრუიძის გუნდმა „სპარტაკს" შუა ყანაში 5:0 აჯობა, „ამერმა" კი „სოხუმს" 3:0 სძლია.

ტურის ყველაზე უხვმაყურებლიანი მატჩი ზესტაფონში იყო — იმერლებმა 6000 ქომაგის თვალწინ 2:0 მოუგეს გორის „დილას" და მეორე ბურთი ისეთი კურიოზული გაიტანეს, რომ... სტუმარ გივი ქარქუზაშვილის ავტოგოლმა ზესტაფონელები გვარიანად ახარხარა.

„კახეთმა" ბურთი და მოედანი „დაუმალა" „კოლხეთს" და 3:2 აჯობა. გუნდებმა როგორ ითამაშეს, ვერ გეტყვით, ნისლმა კი მაგრად ათამაშა ქომაგები — ბურუსი დროდადრო იფანტებოდა და სწორედ მაშინ ჩამოწვებოდა ხოლმე, როცა გოლები გადიოდა. მოკლედ, თელაველებს მაგრად უმუშავიათ.

ეს ხუმრობით, სერიოზულად კი გორის „ქართლზე" მომხდარი უმსგავსობა უნდა ვახსენოთ. მაშინ, როცა „ტორპედო" მასპინძელ „ცხინვალს" ეთამაშებოდა, სტუმართა გასახდელში მავანი ხელმრუდი დაძვრებოდა და მობილურს მობილურზე იპარავდა. რაღა ვთქვათ, სასაცილო ჩემპიონატი გვაქვს...

და ერთიც: ტურის ბოლო მატჩში ზაზა ზირაქიშვილმა გაილაღა. „ბათუმმა" 3:1 მოუგო უმწეო „თბილისს", ზირაქიშვილმა კი სამი გოლი გაიტანა და აქედან პირველი სეზონის უსწრაფესი იყო.

**კახა შალამბერიძე**



მერაბ ღვინიაშვილის ფოტო

### სიმბოლური ნაკრები

ზაზა ზირაქიშვილი — *ბათუმი*
გია იმედაძე — *ზესტაფონი*
ოთარ მარცვალაძე — *ვიტ ჯორჯია*
ალექსანდრე კოშკაძე — *ამერი*
დავით დიღმელაშვილი — *ვიტ ჯორჯია*
გიორგი მერებაშვილი — *დინამო*
თორნიკე აფციაური — *ბორჯომი*
გიზო ჯელაძე — *ბათუმი*
გიორგი დავითნიძე — *ამერი*
ლევან მერებაშვილი — *სიონი*
გრიგოლ ჭანტურია — *ლოკომოტივი*

გუნდი: ვიტ ჯორჯია

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 11-მარცვალაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| 8-დვალი | *სიონი* |
| 7-ქუთათელაძე | *კოლხეთი* |
| 6-ქორიძე | *ბორჯომი* |
| 5-მეგრელაძე | *დინამო* |
| დოლიძე | *სიონი* |
| მიქუჩაძე | *სიონი* |
| იაშვილი | *დინამო* |
| 4-სულთანიშვილი | *დილა* |
| კ. ხანიშვილი | *დილა* |
| ზირაქიშვილი | *ბათუმი* |
| არუდაშვილი | *კახეთი* |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 11 | 9 | 1 | 1 | 26:7 | 28 |
| სიონი | 11 | 8 | 1 | 2 | 22:10 | 25 |
| ბორჯომი | 11 | 8 | 0 | 3 | 23:9 | 24 |
| ლოკომოტივი | 11 | 7 | 3 | 1 | 15:3 | 24 |
| დინამო | 11 | 7 | 1 | 3 | 16:6 | 22 |
| ამერი | 11 | 7 | 1 | 3 | 12:7 | 22 |
| ბათუმი | 11 | 6 | 1 | 4 | 10:7 | 19 |
| ზესტაფონი | 11 | 5 | 2 | 4 | 8:9 | 17 |
| დილა | 11 | 5 | 0 | 6 | 15:12 | 15 |
| კოლხეთი | 11 | 5 | 0 | 6 | 11:12 | 15 |
| კახეთი | 11 | 5 | 0 | 6 | 12:16 | 15 |
| ცხინვალი | 11 | 3 | 1 | 7 | 7:18 | 10 |
| ტორპედო | 11 | 2 | 3 | 6 | 6:11 | 9 |
| სოხუმი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:27 | 7 |
| სპარტაკი | 11 | 1 | 1 | 9 | 2:19 | 4 |
| თბილისი | 11 | 0 | 0 | 11 | 3:23 | 0 |

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „ცენტრალური" ზესტაფონი | ზესტაფონი 2:0 დილა | 9,0 | 7,0 | 8,0 | 8,0 |
| „ეროვნული" თბილისი | დინამო 1:0 ლოკომოტივი | 7,0 | 7,5 | 5,5 | 6,6 |
| „გივი ჩოხელი" თელავი | კახეთი 3:2 კოლხეთი | 6,5 | 6,0 | 5,0 | 5,8 |
| „არმაზი" მცხეთა | ვიტ ჯორჯია 2:1 სიონი | 6,0 | 7,0 | 4,5 | 5,8 |
| „ოლიმპი" თბილისი | თბილისი 1:3 ბათუმი | 8,5 | 6,5 | 2,5 | 5,8 |
| „შევარდენი" თბილისი | სოხუმი 0:3 ამერი | 5,5 | 6,5 | 1,5 | 4,5 |
| „ოლიმპიკი" თბილისი | ბორჯომი 5:0 სპარტაკი | 3,0 | 4,5 | 0,5 | 2,6 |
| „ქართლი" გორი | ცხინვალი 0:0 ტორპედო | 5,0 | 0,0 | 1,0 | 2,0 |

### მომდევნო ტური

5 ნოემბერი, შაბათი

ამერი – სპარტაკი
სიონი – ბორჯომი
ტორპედო – ვიტ ჯორჯია
ბათუმი – ზესტაფონი
კოლხეთი – თბილისი
ლოკომოტივი – ცხინვალი
დილა – დინამო
სოხუმი – კახეთი

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი IV ტური. დღეს

## A ჯგუფი

### იუვენტუსი — ბაიერნი

ტურინი. „დელე ალპი". მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

აბიატი, ტურამი, ძამბროტა, კანავარო, პესოტო, კამორანეზი, ვიეირა, ემერსონი, ნედვედი, ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი (ან დელ პიერო)

კანი, ლუსიო, სანიოლი, შვაინშტაიგერი, ისმაელი, დაისლერი, დემიკელისი, ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი, პიზარო

### ბრიუგე — რაპიდი

ბრიუგე. „იან ბრეიდელი". მსაჯი: ალონ ეფეტი (ისრაელი)

ბუტინა, ვანაუდენაერდე, სპილარი, მარტენსი, ბლონდელი, კლემენტი, ვერმანტი, ლეკო, დუფერი, პორტილიო, ბალაბანი

ტეიერი, ბეიბლი, დობერი, ბალახოვიჩი, კორსოში, ადამსკი, ჰოფმანი, ივანშიტცი, კინსლი, ლოური

## B ჯგუფი

### არსენალი — სპარტა

ლონდონი. „ჰაიბერი". მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

ლემანი, კემპბელი, ტურე, ლორენი, კლიში, ლიუნგბერგი, ჟილბერტო სილვა, პირესი, ბერხკამპი, რეიესი, ანრი

ბლაჟეკი, პეტრაში, პერგლი, ლუკაში, პოსპეში, კადლეცი, ჟელენკა, ჰაშეკი, პოლაჩეკი, ბოსეკი, მატუსოვიჩი

### თუნი — აიაქსი

თუნი. „ლახენშტადიონი". მსაჯი: ვლადიმირ ხრინაკი (სლოვაკეთი)

იაკუპოვიჩი, ლეანდრო, გონსალეში, დეუმი, ორმანი, მილიჩევიჩი, აიგეტერი, ადრიანო, ფერეირა, ლუსტრინელი, გელსონი

სტეკელენბურგი, მადურო, გრიგერა, ტრაბელსი, დე იონგი, ემანუელსონი, გალაშეკი, პიენაარი, ანასტასიუ, სნეიდერი, როსალესი

# მაკაისგან გოლს ელიან, იუვესგან რეკორდს

**სულ** ცოტა ხნის წინ ჯერაც წაუგებელმა ტურინის „იუვენტუსმა" ეს წარმატებული სერია მიუნხენში „ბაიერნთან" შეწყვიტა. გასულ უქმეებზე კი საკუთარ ჩემპიონატშიც დამარცხდა კიდევ ერთ პრინციპულ მეტოქე „მილანთან". ასე რომ, „ბებერი ქალბატონის" ბანაკში მცირე დაბნეულობაა. ბოლო წლებში „იუვემ" ამას მიგვაჩვია, ზამთრის მოახლოებასთან ერთად თამაშს უკლებს ხოლმე. თუმც ფაბიო კაპელო ირწმუნება, ყველაფერი კარგად არის და ამას დღესაც ნახავთო.

თავის მხრივ მოგებაზე ფიქრობენ მიუნხენელებიც. ისინი ცალი ფეხით უკვე მერვედფინალში არიან და სანაღვლოც ნაკლები აქვთ. თანაც შარშან „იუვენტუსმა" „ბაიერნს" ორივე მატჩი მოუგო და გერმანელები რის გერმანელები იქნებოდნენ, სრულფასოვან რევანშზე რომ არ ფიქრობდნენ.

„იუვენტუსმა" წელს სერია A-ში რეკორდის დამყარება უკვე მოასწრო, როდესაც მიჯრით ცხრა მატჩი მოიგო და თავისივე ძველი შედეგი ერთით გააუმჯობესა. ტურინელები ახლა ჩემპიონთა ლიგაში ასევე თავისი რეკორდის გამეორებასთან არიან ახლოს. საქმე ის არის, რომ თუ „ბებერი ქალბატონი" ამ მატჩში გოლს არ გაუშვებს, ეს ლიგის შეხვედრებში ზედიზედ შვიდი იქნება, როდესაც მისი მეტოქე „დელე ალპიზე" გატანას ვერ ახერხებს.

ძველი რეკორდი იტალიელებმა 201-03 წლების პერიოდში დაამყარეს. მაშინ მათი ეს სერია „დეპორტივომ" შეწყვიტა, რომელშიც როი მაკაი ირიცხებოდა და ჰოლანდიელმა ტურინელები გაამწარა.

„ბაიერნს" სეზონის შესაშური შედეგიანობით დაწყების შემდეგ 27 აგვისტოს მერე უკვე 11 მატჩია, არ გაუტანია. ამბობენ, ჰოლანდიელმა ბოლოს და ბოლოს „იუვენტუსთან" უნდა გაიხსენოს, ვნახოთ... აქამდე კი იგი კიდევ ერთხელ შეადარეს გერდ მიულერს.

„მაკაი ჩინებული ფორვარდია და ჩვენ მისი დიდი იმედი გვაქვს. იგი მართლაც მოგვაგონებს მერდ მიულერს. თუმც რა ხანია, როის ბოლო არ გაუტანია და ეს მაფიქრებს. როდესაც მიულერი ათ მატჩში ბურთს ვერ შეაგდებდა, ცოფდებოდა და გაათმაგებული ენერგიით ვარჯიშობდა. მაკაის კი შემართება აკლია" — განაცხადა „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

ცხადია, როი მაკაი ძირითად შემადგენლობაში იქნება. მის მეწყვილედ კლაუდიო პიზაროს ვიხილავთ. როკე სანტაკრუზი სერიოზულად დაშავდა და დაახლოებით ექვსი თვე მუხლის ჯვარედინ მყესებს უმკურნალებს. დაშავებულნი არიან ბიქსენტ ლიზარაზუ და ოუენ ჰარგრივსიც.

მასპინძელთა რიგებში დაშავებულთა სია ძველებურია — ჯონათან ძებინა, ალესანდრო ბირინდელი და ჯანლუიჯი ბუფონი. კრისტიან აბიატი ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება, ხოლო ადრიანო მუტუს ნაცვლად ძირითადში კვლავ მაურო კამორანეზი ითამაშებს. ფაბიო კაპელოს ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, დააყენოს თუ არა სასტარტო შემადგენლობაში ალექს დელ პიერო — ბოლო მომენტში როგორც იქნება საჭირო, ისე ვიზამო.

ჯგუფის მეორე მატჩზე იმის თქმა შეგვიძლია, რომ საკმაოდ სიმპათიურ „რაპიდს" ბოლო შანსი აქვს უეფას თასის საგზურზე ჩასაბღაუჭებლად. ამისთვის ვენელებმა სულ ცოტა ბრიუგეში არ უნდა წააგონ, ისე კი, მოგება სჭირდებათ. ალბათ არავის სჯერა, რომ რომელიმე ამ კლუბს ჯგუფიდან გასვლის შანსი აქვს, თუმც ფეხბურთში ყველაფერი ხდება.

**ძოძო ძანდელაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბაიერნი** | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 9 |
| **იუვენტუსი** | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| **ბრიუგე** | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| **რაპიდი** | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |



როი მაკაის (მარჯვნივ) 994 წუთია გოლი არ გაუტანია



რობერ პირესი გუშინ გულმოდგინედ ვარჯიშობდა

# აიაქსი გოლს ეძებს

**„არსენალი"** „სპარტას" თუ მოუგებს, მერვედფინალის საგზურს გაინაღდებს. არსენ ვენგერსაც ეს უნდა, რომ ორი ტურით ადრე ჯგუფიდან გავიდეს, მერე კი პრემიერლიგას მოხედოს.

„სპარტას" დამარცხება შეგვიძლია, მაგრამ არ იქნება იოლი" — თქვა ფრანგმა მწვრთნელმა. ტიერი ანრი, რომელმაც პრაღულ მატჩში დუბლი შეასრულა, დღეს ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. მან „ტოტენჰემთან" შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა, ახლა კი გამოჯანმრთელდა. „ტოტენჰემთან" დაშავდა ფრედერიკ ლიუნგბერგი, მაგრამ ისიც გამოკეთდა.

„სპარტას" შინაჩემპიონატშიც ცუდად მისდის საქმე და ევროპაშიც. ბოლო ათი გასვლითი ევრომატჩიდან რვა წააგო და ორი ფრედ დაასრულა. გასულ უქმეებზე პრალაში „სიგმასთან" 1:2 დამარცხდა.

„ისეთ ვითარებაში ვართ, რომ დასაკარგი არაფერი გვაქვს" — თქვა „სპარტას" კაპიტანმა მარტინ პეტრაშმა. ჩეხებს „სიგმასთან" სლოვაკი ლეგიონერი კაროლ კისელი დაუშავდათ. აქვე ვთქვათ, რომ „არსენალს" ჩემპიონთა ლიგის ნიშნით გამართულ ბოლო ცხრამეტივე მატჩში ერთი გოლი მაინც გაუტანია.

ლიგის დებიუტანტ „თუნს" სამივე საშინაო შეხვედრა მოგებული აქვს. მათ შორის ორი საკვალიფიკაციო ეტაპზე, ერთი კი ჯგუფში („სპარტასთან"). თან ბერნში გოლი არ გაუშვა.

„აიაქსს" ბოლო 11 გასვლითი ევრომატჩიდან ერთიც არ მოუგია. ექვსი ფრედ დაასრულა, რვა წააგო. ამასთან, შვეიცარიაში წინა ორი სტუმრობისას კარი „მშრალად" შეინახა.

„თუნმა" გასულ უქმეებზე ჩემპიონატში პირველი საშინაო მარცხი „ციურიხისგან" (1:0) იგემა, თუმც მეორე ტაიმში კაცნაკლულმა ითამაშა, რადგან სილვან აეგერტერი გაუძევეს. აღსანიშნავია, რომ ბოლო ოთხ მატჩში „თუნი" სამჯერ დამარცხდა და 14 გოლი გაუშვა.

„მახსოვს, კიევის „დინამოსთან" მოგებამდე „სენტ გალენთან" 1:5 წავაგეთ. ჩემს გუნდს თამაშის გამოსწორება შეუძლია და „აიაქსთან" ამის მეიმედება" — თქვა „თუნის" მწვრთნელმა ურს შიონენბერგერმა.

„აიაქსსაც" ჭაკად აქვს საქმე. ჩემპიონატის ბოლო სამ მატჩში გოლი არ გაუტანია. გასულ უქმეებზე ამსტერდამში „ჰერენვენს" დაუზავდა.

„ჩვენსა და ლიდერ პსვ-ს შორის სხვაობა უკვე 15 ქულაა — თქვა დენი ბლინდმა — მაგრამ ახლა ველარაფერს შევცვლი. ფეხბურთელები თავს არ ზოგავენ და მათთან სასაყვედურო არაფერი მაქვს".

აიაქსელებს „ჰერენვენთან" ჰატემ ტრაბელსი დაუშავდათ, რომელიც ტრავმირებულ ხარისტეასს და ხუანფრანს შეუმხანაგდა. უესლი სნეიდერი და ჟულიენ ეკუდე გამოკეთდნენ. ეგებ დღეს „თუნთან" კიდეც ითამაშონ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არსენალი** | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| **აიაქსი** | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| **თუნი** | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| **სპარტა** | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი IV ტური. დღეს

## C ჯგუფი

### ბარსელონა — პანათინაიკოსი

ბარსელონა. „ნოუ კამპი“. მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

| | |
|---|---|
| ვალდესი, პუიოლი, ბელეტი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი, ხავი, მესი, მოტა, რონალდინიო, დეკო, ეტოო | გალინოვიჩი, დარლასი, ბისკანი, მორისი, ვინტრა, ნილსონი, კონსეისაო, სერიჩი, გონსალესი, ტორგელე, განციოსი |

### ვერდერი — უდინეზე

ბრემენი. „ვესერშტადიონი“. მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)

| | |
|---|---|
| რაინკე, ანდრეასონი, ოვომოიელა, ნალდო, შულცი, ფრინგსი, ბაუმანი, ნიკუ, ბოროვსკი, კლასნიჩი, კლოზე | დე სანკტისი, ბერტოტო, ფელიპე, სენსინი, დ. ძენონი, პინცი, ობოდო, მონტარი, კანდელა, დი მიკელე, იაკინკა |

## D ჯგუფი

### ლილი — მანჩესტერი

პარიზი. „სენ დენი“. მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

| | |
|---|---|
| სილვა, ვიტაკიჩი, შმიტცი, ტავლარიდისი, ტაფურო, დებიუში, ბოდმერი, შალმე, მაკუნი, ოდემვეჟი, აჩიმოვიჩი | ვან დერ სარი, ბერდსლი, ფერდინანდი, სილვესტრი, ფლეტჩერი, ოში, სმიტი, სქოულზი, რონალდო, ვან ნისტელროი, რუნი |

### ბენფიკა — ვილეარეალი

ლისაბონი. „ესტადიო დე ლუჟი“. მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)

| | |
|---|---|
| ნერეუ, ანდერსონი, ნელსონი, როკა, ლუიზაო, კარაგუნისი, პეტიტი, ფერნანდესი, ჟოვანი, კარიაკა, ნუნუ გომეში | ვიერა, არსო, როდრიგესი, კრომკამპი, არუაბარენა, კაზორლა, სორინი, ტაკინარდი, რიკელმე, ფორლანი, ხოსე მარი |

# არგონავტები ბარსელონის ასაღებად ჩავიდნენ

**დღეს** „ბარსელონა“ ალბერტო მალესანის „პანათინაიკოსს“ უმასპინძლებს. თუ ბერძნებს დაამარცხებენ, ფრანკ რაიკაარდის შეგირდებს ლიგის მერვედფინალში გასვლა პრაქტიკულად გარანტირებული აქვთ — „ბარსა“ მაშინ „ვერდერ“-„უდინეზეს“ პარალელური მატჩის შედეგზე აღარ იქნება დამოკიდებული. ამ თამაშის მონაწილე გუნდებს შორის კლასში განსხვავება დიდია, თან ესპანური პრიმერას გრანდი შინაურ „კამპ ნოუზე“ იბრძოლებს, სადაც ამ სეზონში არც ქვეყნის პირველობაზე წაუგია და არც ჩემპიონთა ლიგაში. ბოლო სამ საშინაო ჯახში რაიკაარდის ბიჭებმა მეტოქეებს 10 გოლი გაუტანეს, ხოლო თავად „ბარსას“ კარი აუღებელი დარჩა.

ბერძენთა წინააღმდეგ „ბარსელონას“ ძირითადში ნორჩ არგენტინელ ფენომენს, ლეო მესის ვიხილავთ. მწვრთნელმა პრიმერადივიზიონის საკვირაო მატჩში პატავონიელი ფორვარდი დაასვენა. ლეოს „სოსიედადის“ განადგურებაში (5:0) მონაწილეობა არ მიუღია. ზღვისპირელ ბასკებთან რაიკაარდმა ჟიულის, ეტოოსა და რონალდინიოსგან შედგენილი მოიერიშე სამეული გამოიყვანა. დღეს ლუდოვიკ ჟიული სათადარიგოებში იქნება, „პანათინაიკოსის“ დაცვას კი 18 წლის ლეო მესი ააფორიაქებს. შეგახსენებთ, რომ „ოქროს ბიჭუნამ“ უკვე ითამაშა ალბერტო მალესანის გუნდთან ათენურ შეხვედრაში და იქ მოედანზე სტუმართაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. „პანათინაიკოსთან“ ალბათ ვერ ითმენს ადგილობრივთა მექსიკელი მცველი რაფა მარკესი. ოკეანისგაღმელი ოჯახურ საქმეზე სამშობლოში გახლდათ, ბარსელონაში ახლახან დაღლილ-დაქანცული დაბრუნდა და მისი ბურთაობა საეჭვოა.

ელინურ გუნდს საქომაგოდ კატალონიაში 4 ათასი თავგამოდებული ფანი ჩაჰყვა. ამან პოლიცია ფრიად შეაშფოთა. „პანათინაიკოსის“ და „ოლიმპიაკოსის“ ფანები ქუჩაში ერთმანეთს არ დაეტაკონო (ბარსელონაში „ოლიმპიაკოსის“ საკალათბურთო გუნდიც იმყოფება). თუმცა მოსისხლე კლუბთა გულშემატკივრების ჯახი არ შედგა და ძალოვანებმაც შვებით ამოისუნთქეს.

მალესანის ბიჭებმა ბოლო მატჩი საბერძნეთის ჩემპიონატში პაოკს 1:0 მოუგეს. „პანათინაიკოსი“ აქამდე ესპანურ კლუბებს შვიდჯერ შეხვედრია და ყოველთვის საწყენი მარცხი უწვნევია. ელინებმა სხვადასხვა დროს „რეალთან“, „ბილბაოსთან“, „დეპორტივოსთან“ (ორჯერ), „მალიორკასთან“, „სევილიასთან“ და „ბარსელონასთან“ წააგეს. 2 ნოემბრის შეხვედრაში სავარაუდოდ ტრავმირებული იანის გუმასი არ იქნება. თავს მშვენივრად გრძნობს და „ბარსასთანაც“ აუცილებლად იბურთავებს განციოსი, მომხედურთა ვარსკვლავი. პაოკს ის ერთი გოლი ზუსტად ამ ფორვარდმა შეუგდო.

ბრემენის „ვერდერის“ გულშემატკივართა სასიხარულოდ, მიროსლავ კლოზეს ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და გუნდის ექიმებმა ალემანთა მოიერიშეს „უდინეზესთან“ ბურთაობის უფლება მისცეს. კლოზე შაბათს ფრანკფურტის „აინტრახტთან“ ომში დაშავდა, თუმცა ლიგის მატჩისთვის მომჯობინება მოასწრო და იტალიელებსაც თავისუფლად შეერკინება. „მუსიკოსებს“ უდინესთან სავარაუდოდ დანიელ იენსენი და ყელ ვან დამი დააკლდებათ. „ვერდერმა“ „ფრანკფურტთან“ ხსენებული ჯახი ტიმ ბოროვსკის, ტორსტენ ფრინგსის და მიროსლავ კლოზეს გოლებით 4:1 მოიგო.

სერსე კოზმის „უდინეზე“ ახლა საჩემპიონთალიგო C ჯგუფში 4 ქულით მეორე ადგილზეა. იტალიელებმა სერია A-ს თამაშში „პალერმოს“ დამარცხება ვერ შეძლეს, მატჩი უგოლო ფრით დასრულდა. გერმანულ „ვესერშტადიონზე“ ალბათ „უდინეზეს“ მცველი ჩეზარე ნატალი და მოიერიშე პაულო ბარეტო ვერ იბურთავებენ — ორივე მათგანი ტრავმირებულია.

„ვერდერთან“ მატჩი ძნელი იქნება, თუმცა ჩვენ მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ“ — განაცხადა აპენინელების დამრიგებელმა.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| პანათინაიკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| ვერდერი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |



ლიონელ მესი კვლავ ძირითადში იქნება



ალექს ფერგიუსონი ოპტიმისტურადაა განწყობილი

# ბენფიკა მესამასეს ელის

**„ბენფიკამ“** ბოლო ათი საშინაო ევრომატჩიდან რვა მოიგო და ორი ფრედ დაასრულა, ესპანურ კლუბებთან კი ლისაბონში არასოდეს დამარცხებულა. ბენფიკელებმა დღეს ორი თუ გაიტანეს, ევროგოლების რიცხვს 300-მდე დაამრგვალებენ. „ვილიარეალმა“ ბოლო 17 ევრომატჩიდან ესპანურმა გუნდმა ჯგუფში სამივე შეხვედრა 0:0 დაასრულა. გასულ უქმეებზე, პრიმერადივიზიონში „ვილიარეალი“ მადრიდში „ატლეტიკოს“ დაუზავდა. მადრიდელები იგებდნენ, მაგრამ დიეგო ფორლანმა გაათანაბრა.

„ჩემპიონატის ბოლო მატჩებში კარგად ვთამაშობთ და ლისაბონშიც მოსაგებად მივდივართ — თქვა ფორლანმა — სამი ქულა თუ ავიღეთ, ჯგუფიდან გასვლის შანსს გავიუმჯობესებთ. „ბენფიკას“ ფავორიტად ხოლოდ იმის გამო ვერ ჩავთვლი, რომ მასპინძელია“.

„ბენფიკამ“ გასულ კვირაში ორი მატჩი ჩაატარა. სიმაო საბროსის წყალობით თასზე „ლეიშოეშს“ 2:1 მოუგო, მაგრამ სიმაო დაშავდა და „ნავალთან“ ტურის შეხვედრა გამოტოვა. საბროსას გარეშე „ბენფიკას“ აშკარად გაუჭირდა და ფრეს დასჯერდა. ლისაბონელებს ორი მეკარე ტრავმირებული ჰყავთ. მორეირას ექვსთვიანი მკურნალობა გამოუწერეს, სილვა კი ათ დღეში მომჯობინდება. „ვილიარეალთან“ ალბათ რუი ნერეუ ითამაშებს, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა პირველად გასულ უქმეებზე, „ნავალთან“ ეღირსა.

„მიდლსბროსთან“ 1:4 მარცხის შემდეგ ალექს ფერგიუსონმა თქვა: „ლილის“ ფეხბურთელები ჩვენ ამბავს რომ შეიტყობენ, გაუკვირდებოდათ და გაუხარდებოდათ. არ უნდა გავიმეოროთ ის შეცდომები, რაც „მიდლსბროსთან“ წაგვაგებინა“.

სტუმრებს დისკვალიფიცირებული პოლ სქოულზი დააკლდებათ. აღსანიშნავია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ბოლო ოთხ გასვლით ევრო მატჩში გოლი არ გაუტანია. საფრანგეთში წინა ცხრა სტუმრობიდან „წითლებმა“ მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგეს. 1999-2000 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში „მარსელთან“ 0:1 დამარცხდნენ.

რაც შეეხება „ლილს“, ფრანგთა ნახევარმცველმა მეტიუ ბოდმერმა განაცხადა: „სამი ქულა გვინდა. ჯერ მატჩი არ მოგვიგია და გოლიც არ გაგვიტანა და ნავხის გარჩეხვას „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ვაპირებთ. ჯგუფიდან გასვლის შანსი გვაქვს. „ლილმა“ ჩემპიონთა ლიგის ცხრა მატჩში მხოლოდ ერთხელ იზეიმა გამარჯვება. 2001-2002 წლების სეზონში „ოლიმპიაკოსს“ 3:1 სძლია, ბოლო ხუთ ევრომატჩში კი გოლის გატანას ამაოდ ცდილობს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ბენფიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ვილიარეალი | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 3 |
| ლილი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 2 |

## ...და ან ცაზე ვარსკვლავები

# ფელიქს მაგათი

*როდესაც ჩვენში მისი გვარი პირველად გაიგეს, ხუმრობის გუნებაზე დადგნენ და ბევრიც იოხუნჯეს: როგორია, ჰა? — მაგათი. რას არ ამბობდნენ, მაგათი ასე და ისეო; ერთი რომ იტყოდა მაგათიო, მეორე ჰკითხვადა: ვისი, ვისიო? მოკლედ, გვარი ნამდვილად სახალისო გამოდგა, მაგრამ ეს, სახალისო გვარის ფეხბურთელი, იმ ქვეყნის ნაკრებში გამოდიოდა, რომელსაც საქართველოში მეტისმეტად დიდ პატივს სცემენ და, მოდი თვალებს ნუ დავხუჭავთ, სხვებზე მეტი კრძალვითაც უყურებენ — გახსოვთ, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში კენჭისყრამ საქართველოს მეტოქედ გერმანია, რომ არგუნა, თბილისში რა ხდებოდა? იმხანად, არნახულად გაპარტახებული ქვეყნის მთავარი სტადიონი ისე გადაივსო, მაშინაც რომ არ გადავსებულა, როდესაც „დინამო“ „დინამოობდა“, ხოლო ქართველები -- ფეხბურთელებიან მაყურებლიანად — გერმანელებს ისე უყურებდნენ თითქოს ადამიანები კი არა არაამქვეყნიური სამყაროს არსებები ყოფილიყვნენ.*

*თუმცა, სიტყვამ შორს წაგვიყვანა, არადა, მხოლოდ და მხოლოდ ფელიქს მაგათის შესახებ ჩანახატის შესავალი გვინდოდა დაგვეწერა.*

*დღეს, წარსულში შესანიშნავი ფეხბურთელი ფელიქს მაგათი ნიადაგ ტელევიზორის ეკრანზეა, რადგან მიუნხენის „ბაიერნს“ წვრთნის, ხოლო „ბაიერნი“ რა საკვირველია ჩემპიონთა ლიგაში ანუ ჩვენს ბინებშია*



## ფელიქს მაგათის სიმხეცე და სინაზე

| 11461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11462 | ლილი-მანჩესტერი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11463 | თუნი-აიაქსი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.10 |
| 11464 | ვერდერი-უდინეზე | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11466 | ლანსი-ჰალმსტადი | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11467 | მიდლსბრო-დნიპრო | 1.80 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11468 | სტრასბური-ტრომსიო | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11472 | რაპიდი(ბ)-რენი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11473 | ლოტექსი-გრასჰოპერი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11475 | ჰერენვენი-ცსკა | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11477 | სამპდორია-სტიაუა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11478 | შტუტგარტი-შახტარი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11479 | ბოლტონი-ზენიტი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11481 | სევილია-ბეშიქთაში | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2.
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17457 | არსენალი-სპარტა | 1.85 | 1.95 |
| 17458 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17459 | ბენფიკა-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17460 | ბრიუგე-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 17461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17462 | ლილი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17463 | თუნი-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17464 | ვერდერი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17466 | ლანსი-ჰალმსტადი | 1.85 | 1.95 |
| 17467 | მიდლსბრო-დნიპრო | 1.85 | 1.95 |
| 17468 | სტრასბური-ტრომსიო | 1.85 | 1.95 |
| 17469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 1.85 | 1.95 |
| 17471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 1.85 | 1.95 |
| 17472 | რაპიდი(ბ)-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17473 | ლოტექსი-გრასჰოპერი | 1.85 | 1.95 |
| 17474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 1.85 | 1.95 |
| 17475 | ჰერენვენი-ცსკა | 1.85 | 1.95 |
| 17476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 1.85 | 1.95 |
| 17477 | სამპდორია-სტიაუა | 1.85 | 1.95 |
| 17478 | შტუტგარტი-შახტარი | 1.85 | 1.95 |
| 17479 | ბოლტონი-ზენიტი | 1.85 | 1.95 |
| 17480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 1.85 | 1.95 |
| 17481 | სევილია-ბეშიქთაში | 1.85 | 1.95 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13457 | არსენალი-სპარტა | 1.90 | 1.70 |
| 13458 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 1.90 | 1.70 |
| 13459 | ბენფიკა-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13460 | ბრიუგე-რაპიდი | 1.70 | 1.90 |
| 13461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13462 | ლილი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13463 | თუნი-აიაქსი | 1.70 | 1.90 |
| 13464 | ვერდერი-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13466 | ლანსი-ჰალმსტადი | 1.90 | 1.70 |
| 13467 | მიდლსბრო-დნიპრო | 1.90 | 1.70 |
| 13468 | სტრასბური-ტრომსიო | 1.90 | 1.70 |
| 13469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 1.70 | 1.90 |
| 13470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 1.70 | 1.90 |
| 13471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 2.00 | 1.60 |
| 13472 | რაპიდი(ბ)-რენი | 1.70 | 1.90 |
| 13473 | ლოტექსი-გრასჰოპერი | 1.70 | 1.90 |
| 13474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 1.70 | 1.90 |
| 13475 | ჰერენვენი-ცსკა | 1.70 | 1.90 |
| 13476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 1.90 | 1.70 |
| 13477 | სამპდორია-სტიაუა | 1.70 | 1.90 |
| 13478 | შტუტგარტი-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 13479 | ბოლტონი-ზენიტი | 1.70 | 1.90 |
| 13480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 1.70 | 1.90 |
| 13481 | სევილია-ბეშიქთაში | 1.70 | 1.90 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12457 | არსენალი-სპარტა | 1.90 | 1.70 |
| 12458 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 2.00 | 1.60 |
| 12459 | ბენფიკა-ვილიარეალი | 1.60 | 2.00 |
| 12460 | ბრიუგე-რაპიდი | 1.60 | 2.00 |
| 12461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 1.55 | 2.10 |
| 12462 | ლილი-მანჩესტერი | 1.60 | 2.00 |
| 12463 | თუნი-აიაქსი | 1.60 | 2.00 |
| 12464 | ვერდერი-უდინეზე | 1.90 | 1.70 |
| 12466 | ლანსი-ჰალმსტადი | 1.90 | 1.70 |
| 12467 | მიდლსბრო-დნიპრო | 1.90 | 1.70 |
| 12468 | სტრასბური-ტრომსიო | 1.90 | 1.70 |
| 12469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 1.70 | 1.90 |
| 12470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 1.70 | 1.90 |
| 12471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 1.90 | 1.70 |
| 12472 | რაპიდი(ბ)-რენი | 1.70 | 1.90 |
| 12473 | ლოტექსი-გრასჰოპერი | 1.70 | 1.90 |
| 12474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 1.70 | 1.90 |
| 12475 | ჰერენვენი-ცსკა | 1.70 | 1.90 |
| 12476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 1.90 | 1.70 |
| 12477 | სამპდორია-სტიაუა | 1.70 | 1.90 |
| 12478 | შტუტგარტი-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 12479 | ბოლტონი-ზენიტი | 1.70 | 1.90 |
| 12480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 1.70 | 1.90 |
| 12481 | სევილია-ბეშიქთაში | 1.70 | 1.90 |

## ფრეს ბარიერი
(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16457 | არსენალი-სპარტა | 1.07 | 5.50 |
| 16458 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 1.04 | 6.00 |
| 16459 | ბენფიკა-ვილიარეალი | 1.50 | 2.20 |
| 16460 | ბრიუგე-რაპიდი | 1.30 | 2.90 |
| 16461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 1.35 | 2.60 |
| 16462 | ლილი-მანჩესტერი | 2.10 | 1.50 |
| 16463 | თუნი-აიაქსი | 2.20 | 1.45 |
| 16464 | ვერდერი-უდინეზე | 1.35 | 2.60 |
| 16466 | ლანსი-ჰალმსტადი | 1.15 | 4.00 |
| 16467 | მიდლსბრო-დნიპრო | 1.15 | 4.00 |
| 16468 | სტრასბური-ტრომსიო | 1.15 | 4.00 |
| 16469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 1.35 | 2.60 |
| 16470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 1.35 | 2.60 |
| 16471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 1.10 | 4.40 |
| 16472 | რაპიდი(ბ)-რენი | 1.50 | 2.20 |
| 16473 | ლოტექსი-გრასჰოპერი | 1.50 | 2.20 |
| 16474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 1.35 | 2.60 |
| 16475 | ჰერენვენი-ცსკა | 2.35 | 1.45 |
| 16476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 1.15 | 4.00 |
| 16477 | სამპდორია-სტიაუა | 1.25 | 3.00 |
| 16478 | შტუტგარტი-შახტარი | 1.30 | 2.90 |
| 16479 | ბოლტონი-ზენიტი | 1.25 | 3.00 |
| 16480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 1.35 | 2.60 |
| 16481 | სევილია-ბეშიქთაში | 1.25 | 3.00 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15457 | არსენალი-სპარტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15458 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15459 | ბენფიკა-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15460 | ბრიუგე-რაპიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15462 | ლილი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15463 | თუნი-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15464 | ვერდერი-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15466 | ლანსი-ჰალმსტადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15467 | მიდლსბრო-დნიპრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15468 | სტრასბური-ტრომსიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15472 | რაპიდი(ბ)-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15473 | ლოტექსი-გრასჰოპერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15475 | ჰერენვენი-ცსკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15477 | სამპდორია-სტიაუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15478 | შტუტგარტი-შახტარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15479 | ბოლტონი-ზენიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15481 | სევილია-ბეშიქთაში | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14457 | არსენალი-სპარტა | 1.08 | 2.90 |
| 14458 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 1.06 | 2.90 |
| 14459 | ბენფიკა-ვილიარეალი | 1.80 | 2.00 |
| 14460 | ბრიუგე-რაპიდი | 1.40 | 2.40 |
| 14461 | იუვენტუსი-ბაიერნი | 1.65 | 2.20 |
| 14462 | ლილი-მანჩესტერი | 2.00 | 1.80 |
| 14463 | თუნი-აიაქსი | 2.20 | 1.70 |
| 14464 | ვერდერი-უდინეზე | 1.60 | 2.30 |
| 14466 | ლანსი-ჰალმსტადი | 1.20 | 2.60 |
| 14467 | მიდლსბრო-დნიპრო | 1.20 | 2.60 |
| 14468 | სტრასბური-ტრომსიო | 1.20 | 2.60 |
| 14469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 1.60 | 2.20 |
| 14470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 1.60 | 2.20 |
| 14471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 1.05 | 2.90 |
| 14472 | რაპიდი(ბ)-რენი | 1.75 | 2.00 |
| 14473 | ლოტექსი-გრასჰოპერი | 1.75 | 2.00 |
| 14474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 1.60 | 2.30 |
| 14475 | ჰერენვენი-ცსკა | 2.00 | 1.70 |
| 14476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 1.20 | 2.60 |
| 14477 | სამპდორია-სტიაუა | 1.40 | 2.40 |
| 14478 | შტუტგარტი-შახტარი | 1.55 | 2.30 |
| 14479 | ბოლტონი-ზენიტი | 1.40 | 2.40 |
| 14480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 1.60 | 2.30 |
| 14481 | სევილია-ბეშიქთაში | 1.35 | 2.40 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**



*პირველ ნოემბერს ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ 2005-2006 წლების რეგულარული ჩემპიონატი ძველი და ახალი სახეებით დაიწყო. ახალ გუნდებში ორ ქართველს, ზაზა ფაჩულიასა და ნიკა ცქიტიშვილს ვხედავთ, ხოლო მესამე, ანუ ნბა-ს პირველი ქართველი ვლადიმერ სტეფანია რომელი გუნდის მაისურას მოირგებს, ნამდვილად არავინ უწყის*

# ნბაბომბვა დაიწყო

## ქართველები, მგლები, ქორები და სხვა

## აღმოსავლეთის კონფერენცია

**მადლობა შაკს:** აღმოსავლეთ კონფერენცია ნბა-ს B ლიგად არ იქცა და დასავლეთთან ბრძოლის თავი შერჩა. ასოციაციის აქეთა ნახევარში შაკილ ონილის „მაიამისა" და ნაჩემპიონარი „დეტროიტის" გარდაც მრავლად არიან რიგიანი გუნდები, რომლებიც საქმე საქმეზე რომ მიდგება, დასავლელებს კუდით ბურთს ასროლინებენ... თუმც ჩვენ მაინც „მაიამით" დავიწყოთ.

დევშაკს ალბათ არ უნანია, თავის დრომოჭმული „ლეიკერსიდან", საშუალოზე საშუალო „მაიამიში" რომ გადმობარგდა. ამით აღმოსავლეთსაც მეტი პატივი დაედო და ფლორიდულ გუნდსაც მწვერვალებთან შეთამაშების შანსი გაუჩნდა. მართალია, თავად ონილს ცოტა ასაკი შეეპარა — 33 წლისა მოყრილა და კენტად ველარ ზიდავს გამარჯვების სიმძიმეს, მაგრამ წინა სეზონში მან და ჭაბუკმა დუეინ ვეიდმა „ჰითს" აღმოსავლეთში რეგულარული ჩემპიონატი მოაგებინეს და პლეი ოფშიც კბილები ამტვრიეს ჩემპიონ „დეტროიტს". ამ ზაფხულს „მაიამიმ" ორივე ჯონსი — ედი და დეიმონი დაკარგა, მაგრამ მათ ნაცვლად გერი პეიტონი, ჯეისონ უილიამსი, ანტუან უოლკერი და ჯეიმს პოუზი შეიმატა და ამათ ხარჯზე პლეი ოფამდე ძალას შეინახავს. შაკი კი ასაკის მიუხედავად კვლავ რჩება ნბა-ს საუკეთესო ცენტრად და მეტოქეთა შაკიკად.

„დეტროიტმა" ამ სეზონთაშორის პერიოდში უპრობლემოდ შეინარჩუნა ძირითადი ხუთეულიცა და სათადარიგოთა სკამიც — იქით შეიმატა მოთამაშეები — მაგრამ ორ სეზონში ორჯერ ნაფინალებ „პისტონზს" ისეთი ბურჯი გამოეცალა, მის ადგილზე სხვას ჭერი თავზე დაენგრეოდა — ასოციაციის საუკეთესო მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა ხან სიბერე მოიმიზეზა, ხან ჯანმრთელობა, ხან კიდევ რა და ჯერ ვითომ საერთოდ წავიდა კალათბურთიდან, მერე კი ორ დღეში „ნიუ იორკში" მივიდა და ახლა ამ ჩავარდნილ გუნდს ახმარს თავის ცოდნა-გამოცდილებას. მაგრამ „დეტროიტს" მყარი ფეხები აქვს და სანამ წაიქცევა, კიდევ გაიქცევა. პრეზიდენტმა ჯო დუმარსმა ბრაუნის ადგილზე წინა სეზონში „მინესოტადან" განტევებული ფლიპ სანდერსი დასვა და არც ეს კაცი გახლავთ თავის საქმეში ახალბედა. ასე რომ, „პისტონზი" კვლავ ცხელ ხაზზეა.

ბევრს გამოელიან „ინდიანასგანაც", რომელსაც წესით შარშანაც უნდა დაექუხა, მაგრამ უწესო მოთამაშეებისა და ტრავმების გამო მხოლოდ პლეი ოფში გასვლა და იქ წაგება მოახერხა და სათქმელ-საკეთებელი ამ სეზონისთვის შემოინახა. დიდი დანაკლისია რეჯი მილერი, რომელიც გუნდმა 18-წლიანი ერთგულების შემდეგ დამსახურებულ პენსიაზე გაუშვა, მაგრამ თუ ჯერმენ ონილი და ჯამაალ ტინსლი ტრავმებს გადაურჩებიან, ხოლო რონ არტესტი შარს და ხათაბალას, „ინდიანა" აღმოსავლეთში ბევრისთვის იქით გახდება „ხათაბალა". ამ გუნდისთვის არც ფინალი იქნება არამი. ძველ გვარდიასთან ერთად მწვრთნელ რიკ კარლაილის განკარგულებაში იქნება ლიტველი გამთამაშებელი შარუნას იასიკევიჩუსი, ვინაც ბებერ კონტინენტზე ყველაფრის მოგების შემდეგ ბოლოს და ბოლოს ინება თავისი ძალების ახალ მიწაზე გამოცდა.

ლებრონ ჯეიმსი და მისი (სწორედ რომ მისი) „კლივლენდი" ჯერ ალბათ ვერ შესწვდებიან ოქროვან მწვერვალს, მაგრამ უკვე დროა, პლეი ოფზე მაინც იფიქრონ და იზრუნონ. სირცხვილია, ორი წელია, კონფერენციის რვა საუკეთესოს შორისაც ვერ ხვდებიან. არადა, ლებრონ ჯეიმსს რომ უყურებთ, მთლად ჯორდანი ვერაა, მაგრამ ბრაიანტს, კარტერს და მაკგრეიდის ალალად არ ჩამოუვარდება. „კავალერიის" სარდლობამ ის მაინც მოახერხა, რომ ამ ზაფხულს ორიოდ ხეირიანი ახალი თანაგუნდელი „უყიდა" — დეიმონ ჯონსი, ლარი ჰიუზი და დონ მარშალი. გადასარევი მობურთალია ჰიუზი, საკითხავი ისაა, ის და ლებრონი ბურთს როგორ გაიყოფენ... ალბათ ისე, როგორც ჰიუზი და ჯილბერტ არენასი იყოფდნენ „ვაშინგტონში".

სათვალავიდან ნუ ამოვაგდებთ 2002 და 03 წლების ფინალისტ „ნიუ ჯერსისაც", რომელსაც ჯეისონ კიდის გარდა ზღაპრიჭები — ვინს კარტერი და რიჩი ჯეფერსონი ჰყავს და ეს ტრიო იქნებ საუკეთესოც გახლდეთ აღმოსავლეთში. მაგრამ ძაღლის თავიც აქ მარხია — „ნეთსს" სხვაც ბევრი არავინა ჰყავს ხეირიანი, თუ არ ჩავთვლით სერბ ცენტრ ნენად კრსტიჩს, ეს უკანასკნელი ყოჩაღი ჯეელი კი გახლავთ, მაგრამ შაკის გამჩერებლად ძნელად აღიქმება.

**ატლანტა**

იმ საშინელ სეზონს რაც მალე დაივიწყებენ „ქორები", მით უკეთესი. რეგულარულის 82 თამაშიდან 69-ის წაგებასაც ხომ [illegible] თი უნდა?! „ატლანტა" [illegible] ალბათ თავს დააღწევს ბოლო ადგილს და ამის საწინდარი [illegible] ზაფხულს მისმა შეძენებმა [illegible] ნად შეითხელეს ჯიბე. პირველ რიგში აღსანიშნია „ფინიქსიდან" გამოქცეული ჯო ჯონსონი, რომელიც ფიცარნაგიდან 20 [illegible] მეტრს კი აითვლის, მაგრამ [illegible] თნელი მაკ ვუდსონი [illegible] ინც გამთამაშებლად [illegible] გვარად გამოდის, „ქორების" [illegible] თად ხუთეულში ყველა [illegible] მაღალი ჰყავთ — ჯო ჯონსონი, ჯოშ ჩილდრესი, ჯოშ სმიტი, [illegible] ჰარინგტონი და ზაზა ფაჩულია [illegible] ზასაც მივადექით — ის თავის [illegible] სამე ნბა-ურ სეზონს [illegible] ნდში იწყებს და ჯორჯიაში [illegible] დიდი იმედიც აქვთ. ფაჩულია [illegible] ვისი 211-სანტიმეტრიანი და [illegible] ლოგრამიანი სხეული [illegible] „ჰოქსის" ფარქეთზე [illegible] რშან ასე დაუბრკოლებლად [illegible] ირობდნენ მეტოქეები — [illegible] რებიცა და არიფებიც [illegible] გამოიჩინა [illegible] საშუალოდ 12 ქულას და 7 [illegible] ხნას აშველებდა თავის [illegible] გუნდს. ასე რომ, ვნახოთ...

## დასავლეთის კონფერენცია

**„ცერეუს"** ყოფილ ოფიცერ, გრეგ პოპოვიჩის განყოფილებაში კვლავ ყველაფერი იდეალურ წესრიგშია. „სან ანტონიო სფურზი", ბოლო შვიდ წელიწადში სამჯერ ნაჩემპიონები სუპერგუნდი ძველებურ და იქნებ უკეთეს ფორმაშია. დანკანიც, ჯინობილიცა და პარკერიც მწყობრში არიან და არც სხვები უჩივიან მხარ-კოჭ-მუხლის ტკივილებს. „სფურზმა" სათადარიგოთა სკამს სამი სახელიანი კაცი შეჰმატა — მაიკლ ფინლი, ნიკ ვან ექსელი და არგენტინელი ფაბრისიო ობერტო, რომელიც მანუ ჯინობილის მხარდამხარ შარშან ოლიმპიური ოქროთი დამშვენდა.

წინა სეზონის საოცრება „ფინიქს სანზს" შარშანდელივით იდეალურად ვერა აქვს საქმე — ყოველ მატჩში 26 და მეტი ქულის მშოვნელი ცენტრი ამარე სტუდემაიერი ისე დამტვრეულა, იანვრამდე ვერაფრით დაიხმარს, მის გარეშე კი არიზონელები ძველებურად ველარ ილივლივებენ ცაში, თანაც ორი ჩუბინი დაკარგეს — ჯო ჯონსონი „ატლანტაში" გადაბარგდა. კვენტინ რიჩარდსონი კი „ნიუ იორკმა" მოიტაცა. ასე რომ, „ფინიქსს" ძველი მძლავრი ხუთეულიდან მხოლოდ სტივ ნეში და შონ მარიონილა შერჩა და მათ ხარჯზე ეცდება ბობოლებში ადგილის შენარჩუნებას. მთავარი მაინც ნეშია — სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გვერდით ნებისმიერი პერსპექტიული ბიჭი ლამის სუპერვარსკვლავად ჩანს და „მზეებიც" ყველაფრის მიუხედავად იმედიანად ეგებებიან რეგულარულის გარიჟრაჟს.

„დალას მავერიკსი" ის გუნდია, რომელმაც თავის დროზე ორი უმძლავრესი გამთამაშებელი — ჯეისონ კიდი და სტივ ნეში გაუშვა, მაგრამ დაღმასვლისა არაფერი ეტყობა და ამის გარანტია ქერა გოლიათი დირკ ნოვიცკია. გერმანელს საუკეთესო სეზონი ჰქონდა და არავითარი საფუძველი არ არსებობს, ვიფიქროთ, რომ ჩავარდნა ექნება — მას არც ტრავმები აქვს და მოტივაცია და ჯიგარიც არასდროს აკლდა.

კარგი გუნდია „ჰიუსტონ როკიტსი", იაო მინგი ყოველწლიურად უმატებს და ერთი-ორი კარგი ახალწვეულიც გააძლიერებს ტეხასურ გუნდს, მაგრამ მათმა ლიდერმა ტრეისი მაკგრეიდიმ მოგებული თამაშების წაგებას თუ არ მოუხერხა რამე, „როკიტსი" ვერასდროს იქცევა მართლა საპლეიოფო გუნდად, ამის გარეშე კი ამერიკაში არავის აფასებენ.

დაახლოებით იგივე ვითარებაშია „სიეტლი". განსხვავება ისაა, რომ „ზებგერითებს" ნებისყოფა კი არა, ხეირიანი მაღლები აკლიათ და მათ საშოვნად არაფერს აკეთებენ, იქით გაუშვეს ცენტრი ჯერომ ჯეიმსი. მარტო რეი ალენი კი იქნებ საკმარისი ფაქტორი იყოს პლეი ოფში გასასვლელად და იქ, ჰა-ჰა, ერთი სერიის მოსაგებად, მაგრამ... ამასთან სათქმელია, რომ ძირძველი სიეტლელი ნეიტ მაკმილანი „პორტლენდში" გაიპარა, ეს გუნდი უკეთესი გასაწვრთნელიაო... ეს კიდევ საკითხავია.

ზესაშუალო გაქანებისაა „დენვერ ნაგიტსიც". დასანანი ისაა, ეს გუნდი პლეი ოფში ისე გავიდა, ნიკა ცქიტიშვილი უკვე გაშვებული ჰყავდა. ამგვარად, ქართველები კვლავ უპლეიოფოდ რჩებიან.

ამას არავინ ელოდა, მაგრამ ფაქტს დიდი თვალები აქვს — ფილ ჯექსონი „ლეიკერსში" დაბრუნდა! მან და კობი ბრაიანტმა როგორც ჩანს, წარსულს ჩააბარეს უსიამოვნო დღეები. საზიზღარი სეზონის შემდეგ კობიც მიხვდა, ან მიახვედრეს, რომ მარტოკაცი თამაშშიაც ბრალია და მასაც სჭირდება ტვინის გამხსნელი და კალათბურთის ანბანის თავში ჩამდები. ლოსანჯელესელებმა [illegible] ვუიანიჩი, კვეიმ ბრაუნი, აარონ [illegible] კი შეიმატეს და მიზნად დასავლეთის რვა საუკეთესოთა შორის ადგილის მოპოვება დაისახეს. საინტერესოა, რა გამოუვათ.

**მინესოტა**

ზემოთ ცქიტიშვილი და [illegible] ოფი ვახსენეთ. ღმერთმა ქნას, [illegible] დებოდეთ, მაგრამ, როგორც [illegible] დან ჩანს, ნიკა კვლავ რეგულარული ჩემპიონატის ამარა დარჩება, მიუხედავად იმისა, რომ ის [illegible] გარნეტის „მინესოტაში" [illegible] ამ გაზაფხულს „მგლებმა" [illegible] 10 სეზონში პირველად [illegible] პლეი ოფს და საქმეთა [illegible] გაზაფხულს მაინც [illegible] რნეტი ძველებურად რჩება [illegible] ჭავს, მაგრამ მის გვერდით [illegible] არიან ბებერი მგლები — [illegible] სელი და ლატრელ სპრიუელი, [illegible] გარეშე კი...

**კოტე ყორშია**

# თეა დონღუზაშვილი ახალგაზრდებით კმაყოფილია

## რომ წამოვიდე, შეიძლება კარიერა დამასრულებინონ



*საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გოდერძი ველიჯანაშვილმა პრეზიდენტის თასისწინა პრესკონფერენციაზე თქვა, შეიძლება, ტატამზე თეა დონღუზაშვილიც გავიდესო, თუმც ვისი სახელით იჭიდავებდა ყველაზე ტიტულიანი ქართველი ძიუდოისტი, აღარ დაუკონკრეტებია.*

*ახლა, როცა ქართულ ქალთა ძიუდოს საფუძველი ხელახლა ეყრება, 17-18 წლის გოგონებისთვის ასეთი გამოცდილი სპორტსმენის მხარდამხარ გამოსვლა მართლაც მისწრება იქნებოდა. ცხადია, დღის წესრიგში დონღუზაშვილის საქართველოში დაბრუნების საკითხიც ადრევე დადგა, მაგრამ...*

*უკვე წლებია, თეა რუსეთის ნაკრების სახელით ჭიდაობს. ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორიც ჩრდილოელთა გუნდში გახდა. ძალიანაც რომ მოვინდომოთ, საეჭვოა ასე ადვილად დავიბრუნოთ — „პრეზიდენტის თასსაც" მხოლოდ მაყურებლად ეწვია. ნატურნირევს კი ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა.*

— თბილისში რამდენიმე დღის წინ ჩამოვედი. სეზონი დასრულდა, დასასვენებლად სამი კვირა მაქვს და რა გასაკვირია, გულმა საქართველოსკენ რომ გამომიწია.

**— „პრეზიდენტის თასს" თავიდან ბოლომდე უყურეთ. კმაყოფილი დარჩით ტურნირით?**

— პირველ რიგში ვიტყვი, რომ მოხარული ვარ, საქართველოში ქალთა ძიუდოს ამხელა ყურადღებას რომ აქცევენ. აშკარაა, პერსპექტივაც დიდია. საერთაშორისო ტურნირს პირველად ვუმასპინძლეთ და ყოველ მხრივ წარმატებულადაც.

**— ქართველების ჭიდაობა მოგეწონათ?**

— ასე ერთი შეხედვით მსჯელობა და დასკვნის გამოტანა ცოტა ძნელია, თუმც მჯერა, შრომა რომ ნაყოფს გამოიღებს. ამას გოგონების შემართების გამო ვამბობ. აშკარად ეტყობათ, საოცრად მონდომებულები არიან, მათ თვალებში ცეცხლი შევნიშნე, სპორტში კი მთავარი მონდომებაა. ამ ბავშვების შემხედვარეს ჩემი პირველი ნაბიჯები გამახსენდა.

**— გოგონების პირადად გაცნობა და რჩევა-დარიგების მიცემაც ხომ არ მოასწარით?**

— ტურნირისწინა შეკრებისას შემომთავაზეს, მათთან სავარჯიშოდ მისული ვიყავი. ამის სურვილი მეც მქონდა, მაგრამ რუსეთიდან ახალი ჩამოსული ვიყავი და დრო ვერაფრით გამოვძებნე. თბილისში 8 ნოემბრამდე ვრჩები და მათ ახლოს გაცნობასაც აუცილებლად მოვასწრებ.

**— ჩვენი გაზეთის საშუალებით რას ურჩევდით ამ ახალგაზრდებს?**

— ძალიან ბევრი იშრომონ. უდიდესი ნებისყოფის გარეშე ღმერთისგან ბოძებული ტალანტიც კი ვერ გიშველის. ეს გოგოები ნიჭიერები არიან. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სულ რაღაც რამდენიმეთვიანი ვარჯიშების შემდეგ ასეთ დონეს მიაღწიეს. თუ ასეთივე შემართებით გააგრძელეს, საერთაშორისო გამოცდილების მიღების შემდეგ დიდ წარმატებებსაც მიაღწევენ.

**— კონკრეტულად რომელიმეს ხომ არ გამოარჩევთ?**

— 3-4 გოგო ძალიან მომეწონა. მათ შორის დები ოძელაშვილები და თიკო ქულუსაშვილი.

**— საქართველოში თქვენს დაბრუნებასა და აქაური ნაკრების სახელით გამოსვლაზე სულ უფრო და უფრო მეტს საუბრობენ...**

— ამაზე საუბარი ჯერ კიდევ ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე დავიწყეთ, მერეც არაერთხელ მივუბრუნდით, მაგრამ უშედეგოდ. მეეჭვება, საქართველოს სახელით როდისმე შევძლო ჭიდაობა. ვერც წარმოიდგენთ, ისე მინდა, მაგრამ ეს მართლაც შეუძლებელია. რუსეთის სახელით უკვე არაერთი მედალი მოვიპოვე. იქაური ნაკრების პირველი ნომერი ვარ და არავითარ შემთხვევაში არ გამომიშვებენ. რომ გავჯიუტდე და ძალით წამოვიდე, ალბათ დისკვალიფიკაციას მომცემენ, რაც ჩემს კარიერას ნაადრევად დაასრულებს. სამწუხაროდ, საიმედო არაფერი ჩანს. როგორც სპორტსმენი, ალბათ ვერა, მაგრამ სხვა მხრივ კი ყველანაირად დავეხმარები საქართველოს ნაკრებს, თუ ამ ნიჭიერ თაობას ჩემი გამოცდილება რამეში გამოადგება...

**— ბოლოს თქვენს მედლებზე გკითხავთ. ოქრო მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვეთ, მსოფლიოზე და ოლიმპიადაზე კი ჩემპიონობამდე სულ ერთი ნაბიჯი გაკლდებათ ხოლმე...**

— სწორედ ეგაა ჩემი მთავარი საფიქრალი. იმედია, სრული ოქროს კოლექციის შეგროვებასაც მოვესწრები.

**ოთარ მაღლაკელიძე**






## მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

**ბეერ-შევა. ისრაელი.** 31 ოქტომბერი - 11 ნოემბერი



ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები

# ნაკრები ისრაელში გაფრინდა

**მსოფლიოს** მეექვსე გუნდურ ჩემპიონატზე პლანეტის ცხრა საუკეთესო ნაკრები იასპარეზებს და მათ შორის ჩვენებურებიც იქნებიან.

რეგლამენტის მიხედვით, ჩემპიონატზე ევროპიდან ხუთი გუნდი ითამაშებს — რუსეთი, უკრაინა, საქართველო, სომხეთი და ისრაელი; ამერიკიდან — კუბა და აშშ, აზიიდან კი — ჩინეთის ვაჟთა და ქალთა ნაკრები. მეათე გუნდი აფრიკის კონტინენტიდან ეგვიპტე უნდა ყოფილიყო, თუმც ფარაონების ქვეყანა ისრაელში სხვადასხვა პოლიტიკური მიზეზების გამო არ ჩავიდა. ფიდემაც საქმე აღარ გააჭიანურა და ათი გუნდის ნაცვლად ჩემპიონატზე ცხრა დაუშვა.

ჩვენი ნაკრები ისრაელში ორშაბათს გაფრინდა და ისინი თვით ფედერაციის პრეზიდენტმა გურამ აბსანძემ გააცილა. აი, მათი შემადგენლობაც: ზურაბ აზმაიფარაშვილი, ბაადურ ჯობავა, გიორგი გიორგაძე, ლევან ფანცულაია, მიხეილ მჭედლიშვილი და მერაბ გაგუნაშვილი.



## რეგულარული ჩემპიონატი



AFP ფოტოქრონიკა

ტორონტო — ფლორიდა 2:1.

# როცა შაიბა ჩაგდებულია

**31 ოქტომბერი**

**ტორონტო 2:1 ფლორიდა**

*1:1 0:0 1:0*

**0:1 რობერტსი (1), 1:1 ტაკერი (6), 2:1 პონიკაროვსკი (50)**

**გერი რობერტსმა** თავისებურად გადაუხადა ტორონტოელ მაყურებელს მადლობა თბილი მიღებისთვის. ქომაგებს ფორვარდის „ნეკერჩხლების" რიგებში გატარებული ოთხი შთამბეჭდავი სეზონი არ დავიწყებიათ და მატჩისწინა მოთელვაზე გერის გამოჩენას ტრიბუნებმა მხურვალე ოვაცია შეაგებეს. აწ უკვე „ფლორიდას" მოთამაშემ ფანების მხარდაჭერა სხვანაირად გაიგო და პირველივე წუთიდან ყოფილი კლუბის შევიწროვება დაიწყო.

გერიმ 26-ე წამზევე გაუტანა გოლი ედი ბელფორს და მალე ორი ძალისმიერი ილეთით მეტოქეებიც ჩაჭედა ბორტში. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ჯეფ ონილის იდაყვი უთავაზა. მისდა სამწუხაროდ, გერის ძალისხმევა მისი ახალი კლუბის გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

„შაიბა ჩაგდებულია და ყველაფერი გაიწყდება. მინდა, შენი თამაში ითამაშო. ცხადია, მაინც მიჭირდა ყოფილი პარტნიორების წინააღმდეგ ასპარეზობა, მაგრამ ყველაზე მეტად მარცხმა დამწყვიტა გული" — თქვა ნამატჩევს „ფლორიდას" ფორვარდმა.

**რეინჯერსი 1:4 მონრეალი**

*0:0 0:0 1:4*

**0:1 კოივუ (41), 1:1 იაგრი (50), 1:2 ბეგენი (51), 1:3 კოვალიოვი (57), 1:4 სუნდსტრიომი (60)**

**წლეულს** „მონრეალი" სტუმრად საუცხოოდ გამოიყურება. კანადურმა კლუბმა 6 გასვლითი მატჩიდან მხოლოდ ერთი ქულა დაკარგა. აი, რა არის მისი წარმატების საწინდარი.

**სამველ ლარიბიანი**

# ზედგინიძის რეცეპტი: ნაკლები შეცდომა და მეტი ჟინი

*გუშინწინ სალამოს სხვა მორაგბეებთან ერთად საქართველოში ილო ზედგინიძეც ჩამოვიდა. 6 და 12 ნოემბერს „ბორჯღალოსნები“ ურუგვაისა და ჩილეს ნაკრებებს ხვდებიან და ნაკრების სტაჟიანი კაპიტანიც გუნდთან ერთად იქნება, თუმცა დასანანია, რომ მოედანზე გასვლას ვერ შეძლებს და ტრიბუნიდან უქომაგებს საყვარელ გუნდს. მომავალი თამაშების შესახებ საუბარზე კი ილო ხალისით დაგვეთანხმდა*



**— პირველ რიგში ტრავმაზე მინდა გკითხო, როდის დაშავდი და რამდენად სერიოზულია?**

— დაახლოებით ერთი თვის წინ, „ბარიზთან“ თამაშისას ქუსლის მყესი დამიშავდა. მანამდეც მაწუხებდა, თუმცა იმ მატჩში სერიოზულად გამიმიზეზდა. სავარაუდოდ, კიდევ ერთი თვე ვერ ვითამაშებ, მაგრამ ვარჯიშს ნელ-ნელა უკვე ვიწყებ.

**— ურუგვაისთან ორი მატჩი გვაქვს ჩატარებული, ერთ-ერთში შენც გითამაშია...**

— ურუგვაის მსოფლიოს თასზე რომ შევხვდით, იმ მატჩში ვითამაშე. საკმაოდ სერიოზული და გამოცდილი მეტოქეა. ურუგვაელთა დიდი ნაწილი საფრანგეთში და იტალიაში თამაშობს. ასე რომ, მართლაც კარგი მორაგბეები არიან. ზოგიერთ მათგანს პირადადაც ვიცნობ. მობილური, შეკრული გუნდია. საკმაოდ მოძრავი და ამასთან ერთად ფიზიკურადაც ძლიერი. შერკინების ხაზი კარგი ჰყავთ, ხელით თამაში არ დაეწუნებათ, ფეხით თამაშთანაც არ არიან მწყრალად. ასე რომ, რთული მატჩი გველის.

**— შენი აზრით, რამდენად შეიცვალა ურუგვაის ნაკრები 2003 წლის შემდეგ?**

— არა მგონია, თამაშის სტილი კარდინალურად შეეცვლილიყო. ერთი ეგაა, ბიჭებთან ლაპარაკის შემდეგ შევიტყვე, რომ შარშან ნოემბერში შედარებით სუსტი გუნდი ჰყავდათ, ვიდრე მსოფლიოს თასზე. შარშანდელ ტურნეში, მე არ ვყოფილვარ, მაგრამ ალბათ ჩანაწერს ვიხილავ და დასკვნებს მერე გავაკეთებ.

**— როგორი თამაში უნდა დავუპირისპიროთ ურუგვაელებს, რომ წარმატებას მივაღწიოთ?**

— მთავარია, რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა დავუშვათ. საერთოდ ასე ხდება, როდესაც დაახლოებით თანაბარი კლასის გუნდები თამაშობენ, საკუთარი შეცდომები შეიძლება ძვირად დაგიჯდეს. ასეა ხოლმე რუმინეთთან და იმავე ურუგვაის ნაკრებთანაც ასე მოხდა 2003-ში. მათ ფაქტობრივად ჩვენი შეცდომების წყალობით მოგვიგეს. მომავალ შეხვედრაში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ის, რომ სტატიკური ვითარებისას ვჯობოთ სამხრეთამერიკელებს — შერკინება, აუტი და ასე შემდეგ.

**— ჩილის ნაკრებთან შენ არასოდეს გითამაშია, თუმცა წარმოდგენა ალბათ მათზეც გექნება.**

— ჩილის ნაკრები ურუგვაისაზე დაბალი დონის გუნდია, თუმცა ადვილად მოსაკრავი მეტოქე ნამდვილად არ არის. როგორც ყველა სამხრეთამერიკული ნაკრები, ძალიან მებრძოლი და ჟინიანი მორაგბეებითაა დაკომპლექტებული. ასეთია არგენტინაც, ურუგვაიც... ბოლომდე ძალებით იბრძვიან ხოლმე. შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული სარაგბო ჯიგარი აქვთ, სწორედ ასეთი, ჩვენს გუნდს რომ ახასიათებს ისე; რომ, ამ მხრივაც კარგი სანახავი იქნება ჩვენი ჯახი.

**— შენი პროგნოზი როგორი იქნება?**

— ამ ორი თამაშის ფასი ძალიან მაღალია. წარმატების შემთხვევაში მსოფლიოს რეიტინგში მაღლა ავიწევთ და IRB-ის დაფინანსების პროგრამაშიც შეიძლება მეხამედ მეორე ეშელონის გუნდებში მოვხვდეთ. გარდა ამისა, რაღა საულაპარაკოა, რომ სპორტული ინტერესიც დიდია. მოკლედ, უნდა ვიგოთ და მწამს, რომ წარმატებას მივაღწევთ. მთავარი ჯიგარი და მონდომებაა.

**ლადო ფულუკიძე**



# შვარსკვლავებო პარიზი

**WTA**

**ფილადელფია. აშშ. მაგარსაფარი**

**საპრიზო 585 000 $**

**პირველი წრე**

**იაროსლავა შვედოვა** (რუსეთი) — **პავლა სრომოვა** (ჩეხეთი) — 6:2 6:1; **ანჯელიკა ბეხმანი** (გერმანია) — **მარინა დიას-ოლივა** (არგენტინა) — 6:0 4:1 (*შეწყდა*); **ტატიანა პანოვა** (რუსეთი) — **ელენა იანკოვიჩი** (სერბია-ჩერნოგორია, 8) — 6:4 3:6 7:5; **ვაშონა ვაშინგტონი** (აშშ) — **მეგან შონესი** (აშშ) — 6:2 5:7 6:2; **კლარა კუკალოვა** (ჩეხეთი) — **აშა როლე** (აშშ) — 0:6 7:6 6:3

**ფილადელფიაში** WTA-ს რანგის მომდევნო ტურნირმა აილო სტარტი. მართალია, საპრიზო ფონდი არცთუ შთამბეჭდავია, მაგრამ პირველობას ნამდვილად არ მოაკლდება ყურადღება თუნდაც იმიტომ, რომ რეიტინგის პირველი და მესამე ნომრების მონაწილეობით ჩაივლის — ამერიკელი ლინდსი დევენპორტისა და რუსი მარია შარაპოვას დუელი უინტერესო ნამდვილად არ იქნება.

მოგეხსენებათ, დევენპორტმა პირველი ადგილი რეიტინგში ორიოდე კვირის წინ დაიბრუნა და ეს საპატიო წოდება სწორედ მარია შარაპოვას ჩამოართვა. ფინალის შესაძლო მონაწილეებადაც სწორედ ამ მიიჩნევენ სპეციალისტები, რაც დიდ ინტრიგას სძენს ტურნირს.

გარდა ამისა, ფილადელფიაში რამდენიმე ისეთი ჩოგბურთელიცაა (მაგალითად, რუსი ელენა დემენტიევა), რომელსაც რაც შეიძლება მეტი ეტაპის გავლა და ქულების დაგროვება სჭირდება, რათა მასტერსის თასზე მოხვდეს.

პირველი წრე კი უფავორიტებოდ მიმდინარეობს. თუმცა რამდენიმე საინტერესო შეხვედრა ფილადელფიაში გუშინაც გაიმართა. შეხვედრა საკმაოდ გამოცდილმა ჩეხმა კლარა კუკალოვამ კვალიფიკაციიდან მოხვედრილ ამერიკელ აშა როლესთან მოიგო. თუმც ჩეხმა ძალიან ცუდად დაიწყო თამაში და პირველი სეტი მშრალად წააგო, მაგრამ შემდეგ შეძლო შოკიდან გამოსვლა და მატჩის მოგება.

ტურნირს გამოეთიშა სერბული ჩოგბურთის აღმავალი ვარსკვლავი და ფილადელფიაში მერვე ნომრად განთესილი ელენა იანკოვიჩი. მან გამოცდილ რუს ტატიანა პანოვასთან დათმო სამსეტიანი დაპირისპირება.

ამერიკული დერბი მაშონა ვაშინგტონსა და მეგან შონესის შორის კი პირველის სასარგებლოდ დასრულდა. მართალია, ვაშინგტონი 29 წლისაა, მაგრამ ის მაინც ნაკლებად იყო აქამდე ცნობილი და ამიტომ მის მიერ შონესის დამარცხება მოულოდნელობა გახლდათ.

**BNP PARIBAS MASTERS**

**პარიზი. მაგარსაფარი**

**საპრიზო 1 870 000 €**

**პირველი წრე**

**გრეგ რუსედსკი** (ბრიტანეთი) — **ანდრეას სეპი** (იტალია) — 6:3 6:4; **კრისტოფ ვლიჯენი** (ბელგია) — **კრისტოფერ როხუსი** (ბელგია) — 3:6 7:6 6:2; **ფელიციანო ლოპესი** (ესპანეთი) — **ქსავიე მალისი** (ბელგია) — 4:6 7:6 6:4; **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი) — **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — 7:5 6:3; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — 6:3 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბია-ჩერნოგორია) — **ვიქტორ ჰანესკუ** (რუმინეთი) — 4:1 (*შეწყდა*), **ტომი ჰაასი** (გერმანია) — **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — 7:6 6:4; **დიმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — **ვინსენტ სპადეა** (აშშ) — 6:1 6:2; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — **დავიდე სანგინეტი** (იტალია) — 5:7 7:6 6:4; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — **ოლივიე როხუსი** (ბელგია) — 6:4 6:3

**პარიზში** მასტერსის სერიის ბოლო ტურნირი დაიწყო. საფრანგეთის დედაქალაქში ჩასვლა ბევრმა უმაღლესი დონის მეჩოგნემ ვერ მოახერხა ტრავმის თუ გადაღლილობის გამო.



პოლ-ანრი მატიო



ტომი ჰაასი

AFP ჟორჟ ზედგენიძე

აქ არ იასპარეზებენ როჯერ ფედერერი, რაფაელ ნადალი, ლეიტონ ჰიუიტი და მარატ საფინი თუმცა იმას სულაც არ ნიშნავს, რომ შეჯიბრების ინტრიგა მთავრდება ფრანგეთში დიდწილად განპირობებულია ... ლა იმ ჩოგბურთელის ვინაობა, ... ლებიც იასპარეზებენ ნოემბრის ... ლის შანხაიში გასამართ ... თასზე. ჯერჯერობით ვაკანტური სამი ადგილი რჩება, რომელსაც ... ტენზიას ექვსი ჩოგბურთელი მათგანი აცხადებს. ასე რომ, ამ ტურნირის ინტრიგა ნამდვილად არ აკლია.

გუშინ პირველი წრის მატჩები გაიმართა. ჩვეულებრივ ასეთ ტურნირებზე განთესილი მოთამაშეები ამ რაუნდს ტოვებენ და მხოლოდ მეორე წრიდან ჩაერთვებიან ხოლმე გათამაშებებში.

ყველაზე საინტერესო მატჩი კი ფრანგ პოლ-ანრი მატიოსა და იტალიელ დავიდე სანგინეტის შორის გაიმართა, რომელიც საბოლოოდ მასპინძლის სასარგებლოდ დასრულდა. მართალია, იტალიელმა პირველი სეტი მოიგო, მაგრამ ამის შემდეგ ფრანგმა უფრო სტაბილურად იასპარეზა და მეორე წრეში გასვლა შეძლო.

„ვფიქრობ, დავიმსახურე მოგება. ძნელი მატჩი იყო, მაგრამ ასეთ გამარჯვებას უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე 6:2 6:2 მოგებას“ — განაცხადა უკვე გამარჯვებულმა მატიომ.

შემდეგ წრეში გერმანელი ტომი ჰაასიც გავიდა. მან ძალზე უფერულად დაიწყო თამაში და პირველი ოთხი გეიმი წააგო. თუმც შემდეგ გამოასწორა მოწოდება 114 ... მიღებაზეც კარგად ათამაშა და შეძლო მატჩის თავის სასარგებლოდ დასრულება.

მძიმე ბრძოლა გადაიხადა ესპანელმა ფელიციანო ლოპესმაც, რომელმაც სამსეტიან დაპირისპირებაში ასპარეზობას გამოითიშა ბელგიელი ქსავიე მალისი ესპანელის შემდგომი მეტოქე ჩეხი რადეკ შტეპანეკი იქნება.

**კახა ლომჯარია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომანდანტესთან



AFP ჰავანიდან

დიეგო მარადონა კვლავ ფიდელთანაა, ამჯერად მისგან ინტერვიუს ასაღებად, ჰოდა, კომანდანტესაც სულ ლეგენდარული სპორტსმენები შეუკრებია მის პატივსაცემად. მარცხნიდან იცინიან: ბეისბოლისტი კარლოს ტაბარესი, მოკრივე თეოფილო სტივენსონი, მორბენალი ანა ფიდელია კიროტი, ძიუდოისტი დრიულის გონსალესი (ამათზე ფიდელს გადაუხვევია ხელი), სიმაღლეზე მხტომელი ხავიერ სოტომაიორი, სპორტის ინსტიტუტის დირექტორი კრისტიან ხიმენესი, კალათბურთელი ტომას ერერა და ტელეწამყვანი რენდი ალონსო.

# დონის ხელთათმანები

დონ კინგი კვლავ უნაგირზეა: ნიუ იორკში ვახშამი გაუმართავს და საჩუქრებიც მიუღია. მძიმე წონის ჩემპიონ ლემონ ბრუსტერს მოკრივეთა შორის ყველაზე გავრცელებული საჩუქარი, პირადი ხელთათმანები მიუძღვნია პრომოუტერთა მეფისთვის.




AFP ნიუ იორკიდან

# ვოლვოს წინ

12 ნოემბერს ესპანურ წყლისპირეთ ვიგოდან იწყება „ვოლვოს" ტრანსსაოკეანო რეგატა. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ნაოსნობაა. მანამდე კი გუნდები იკრიბებიან და საჩვენებელ ღლაბუცობებს მართავენ. მაგალითად, ინგლისელი წყალმოთხილამურე დენ ბოტი ჰოლანდიურ ნავს ჩაბმია და ასე ერთობა.



AFP ვიგოდან




AFP აკაპულკოდან

# ქვიშის დრო

ცხელ ადგილებში გახურებულია ქვიშის ფრენბურთი. ერთ-ერთი ასეთი ადგილი მექსიკური აკაპულკოა, სადაც ამერიკელი ჯენიფერ კესი ბერძენ ვასილიკი არვანიტის დარტყმულის დაფარვას ცდილობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჟორჟოლიანი
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია:
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია:
ფოტორეპორტიორები:
სტილისტები:
კომპიუტერული ცენტრი:

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge